წელიწადი პირველი — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 31 ოქტომბერი 1915 წ. № 131

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე [illegible] განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.



კვირას, 1 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი

პავლე ალექსის ძე

კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდამწვარი მშობლები განსვენებულისა, დები, ძმები და სიძეები



## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.



## „ხარფუხის საზოგადო კლუბში“

საზამთრო შენობა, მიხეილის ქუჩა № 129—131.

შაბათი, 31 ოქტომბერს, საბავშვო საღამო: ორკესტრი, სინემატოგრაფი, ბავშვთა მგალობელი გუნდი ბ. ჩარკვიანის ლოტბარობით, დივერტისმენტი, ცეკვა და სხვა.

9 საათის შემდეგ სიმებიანი ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით.

საბავშვო საღამოს დასაწყისი 5 საათიდგან 7 ნახ. საათამდე.



ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.



გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05



ქ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კ[illegible]იმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა



ე ქ ი მ ი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.



კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ მ ა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.



ე ქ ი მ ი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოქტარო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.



კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


## სოფლის მასწავლებლის ტიპის შემუშავება

III

სკოლა და მშობლიური ენა! ეს ორი ცნება განუშორებელია ნორმალ პირობებში, ეროვნულ უფლებრივ ცხოვრებაში. ეს უდავო ჭეშმარიტებაა, უნივერსული სამართლიანობა, რომელიც სდგას გარეშე დროისა და სივრცისა. იგი დაუპირობებელი თვით-არსი ჭეშმარიტებაა. ენის მხრივ სკოლა სავსებით, შეუკვეცელად ეროვნული—აი სიტყვა უაღრესი სამართლისა. დღეს ჩვენში, აღვნიშნეთ უკვე და ისედაც ყველამ უწყის, ასე არ არის. ქართულ ენას სკოლაში მოქალაქეობრივი უფლება აღარა აქვს.

რაც უფრო შორდება მთავრობის სკოლის ტიპი ფართო მასას და ნაკლებ ხელმისაწვდომი ხდება ხალხისთვის, მით უფრო იზღუდება იქ ფარგალი ქართული ენისა. უმაღლეს სასწავლებელში ქართულ ენის ჭაჭანებაც არ გაისმის. აქ იგი არასოდეს არ ყოფილა და უნივერსიტეტში მისი ამეტყველება—ასეთ ნაირი ცოდვილი აზრი—არამც თუ მთავრობას, არამედ თვით ქართველ კაცსაც სიზმარშიაც შესაძლოდ არ მოსჩვენებია!! რაც შეეხება საქართველოში მომქმედ საშუალო სასწავლებლებს, ეს რამდენიმე წელიწადია რაც ქართული ენა „შეიწყნარეს“; კვირაში მას ორ-ორი საათი დაუთმეს ყველა საგნის შემდეგ. უპატივცემულოა, „სუფრის ბოლოს გდებული“. რაც შეეხება სახალხო პირველ დაწყებით სკოლებს, აქ ქართული ენის უფლება აღიარებულია და კანონის ძალით პირველ წლის განმავლობაში შეიძლება მისი თავისუფალი სწავლება. საცა რა უფლებაა მოპოებული, იქ მისი დაცვა, შენარჩუნება და ფართედ გამოყენება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ისე როგორც ჩვენი მოვალეობაა ცდა და ბრძოლა ამ უფლების მოსაპოებლად, საცა იგი შეწყნარებული არ არის არსებული პირობების ფარგლებში ამ უფლებით უფრო ფართოდ შეგვიძლიან სარგებლობა პირველ დაწყებით სკოლებში, რომლის გამრავლება მთავრობისაგანაც საჭიროებად არის აღიარებული.

ეს სკოლები პირდაპირ ხალხის გულშია ჩაშენებული, და ხალხის ცოცხალ ენასთან განუშორებლად დაკავშირებული, ისინი ქართული სოფლის წმიდა ეროვნულ გარემოს უშუალ გავლენის ქვეშ იმყოფებიან. გარეშე წრის მხრივ უცხოური გავლენა სოფლის სკოლას არ შეაწუხებს. სოფელში თვით კანონიც ლმობიერია ქართული ენისადმი. ამასთანავე ნამდვილი საქართველო, თვით ხალხი, ბურჯი მომავალი აღორძინებისა, სოფელია.

მასწავლებელიც უფრო თავისუფალია აქ; ისიც პირდაპირ ტიპიურ ქართულ სინამდვილესთან არის შექსოვილი და ამ სინამდვილესთან მიღებულ ცოცხალ შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება მარადის. ყველა ამ მოსაზრებით ჩვენი გულისყურისა და ენერგიის თავანკარა სწორედ აქ, სახალხო სკოლებში, ხალხთან ახლოს უნდა იხარჯებოდეს. მასწავლებელიც, ნამდვილი, შეგნებული მამულიშვილი მასწავლებლები სწორედ აქ გვჭირია. წინა წერილში საკმაოდ დახასიათებული გვქონდა, თუ რანაირი უნდა იყოს სოფლის მასწავლებლის ტიპი და რას უნდა ემსახურებოდეს იგი. საღ ეროვნულ გრძნობისა და ეროვნულ თავდაცვის იდეის ჩანერგვა, და სამეურნეო ცოდნის შეტანა სოფელში ჩვენ დავსახეთ სოფლის მასწავლებლის, მაღალ დანიშნულებად.

საღი ეროვნული ატმოსფერის შექმნა ნორჩ თაობის აღსაზრდელად შეუძლია მხოლოდ ისეთ მასწავლებელს, რომელიც ზიარებული იქნება წმიდა ეროვნულ საიდუმლოს და აღზრდილი, დღევანდელი პირობების კვალობაზე, საუკეთესო ეროვნულ ტაძარში. ასეთი ეროვნული ტაძარი, ასეთი სამასწავლებლო რამ სკოლა ჩვენში არ არსებობს. და არც შეიძლება იგი არსებობდეს, ან შემდეგში დაარსდეს ოფიციალ მთავრობის უწყებაში. ეს ბუნებით ეწინააღმდეგება მთავრობის სკოლის დანიშნულებას ჩვენში.

ასეთი ტაძრის აგება უნდა იყოს შეგნებული აქტი ნამდვილ ქართველ მოღვაწეთა, რომელთაც სწამთ და იბრძვიან ეროვნულ კულტურისა და მომავლის აღსადგენად. ეს კანონიერი საქმე სრულიად თავსდება არსებულ სასკოლო კანონის ფარგლებში.

1914 წლის პირველი ივლისის კანონი გვანიჭებს უფლებს ყოველ ტიპის კერძო სასწავლებლის გახსნისას, სადაც საგანთა სწავლება მშობლიურ ენაზე სწარმოებდეს. ამ მხრივ დაბრკოლება არ გვექნება. ის დიდი და მძიმე მოვალეობა, რომელიც ჩვენს პირობებში მყოფ ერის ცხოვრებაში ეკისრება სოფლის მასწავლებელს, ის დიდი ეროვნული მისია რომელიც უნდა გასწიოს და ზიდოს ქართველმა სოფლის მასწავლებელმა, მოითხოვს ამ უკანასკნელის პიროვნების განსაკუთრებულ კულტურას.

ამიტომაც ასაგები **„ეროვნული ტაძარი“** თავის შეხედულობით და შინაარსით უნდა იყოს **დამთავრებული სახის საშუალო სასწავლებელი.**

საღი და უზადო ეროვნული ატმოსფერა და საფუძვლიანი, **ჩვენი სოფლის საჭიროებასთან შეთანხმებული** ცოდნა, აი ის პრინციპი, რომელზედაც უნდა დამკვიდრდეს ამ გვარი ტიპის სასტატო სასწავლებელი, რასაც ჩვენ დავარქმევდით **ეროვნულ ტაძარს**, რადგანაც ამ სასწავლებელმა უნდა აღვიზარდოს სულით ამაღლებული და ეროვნული იდეით და საქმით გატაცებულნი მამულიშვილი მასწავლებლები.

ასეთი **ეროვნული ტაძარი** ეროვნების ბურჯი იქნება. ჩვენს დიდ მოთხოვნილებას სოფლის მასწავლებლისას ერთბაშად იგი ვერ დააკმაყოფილებს, ხოლო მრავალი **ეროვნული ტაძრის** აგება ჩვენ არ ძალგვიძს; მაგრამ ერი ერთ დღით და ერთ საუკუნით არ [illegible] მისი თაობათა ნადი. დღეს ეს ვიკმაროთ. დრო შეიცვლება, ბევრი გვექნება. საქმე ისაა, რომ ღელვილ ზღვაში, რომლის ტალღები დაუზოგველად გვცემს, გვქონდეს თუნდაც ერთი, მაგრამ უთუოდ კი, ერთი ბურჯი, ურყევი და წაუქცევი, ბურჯი მომავლისა. და ასეთ ბურჯად იქნება **ეროვნული ტაძარი** და მისი მორდილი, სოფლის მასწავლებელი!

## საბერძნეთის პალატის დათხოვნა.

საბერძნეთის მეფემ კონსტანტინემ და მისმა მთავრობამ რომელთა შორის სრული უნისონია, მთელი ერთი თვის მოქმედების თავისუფლება ხელში ჩაიგდეს. როგორც დეპეშამ გვაცნობა, მეფემ დაითხოვა დეპუტატთა პალატა და ახალი არჩევნები 3 ნოემბრისათვის დანიშნა.

საბერძნეთის პრემიერს ვენიზელოსის პრემიერობიდან გადადგომა, ერთგვარი იძულებული აქტი იყო. მეფის სულისკვეთება და ორიენტაცია დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა ვენიზელოსის სულისკვეთებას და პოლიტიკურ მიმართულებას საგარეო საქმეებში. ვენიზელოსის ეთგვარი იძულებითი გადაყენება, აშკაა გაფრთხილება და თანაც აშკარა დემონსტრაცია იყო მეფე კონსტანტინეს გადაწყვეტილებისა. ვენიზელოსის წასვლის შემდეგ შესდგა კაბინეტი ზაიმისის მეთაურობით; ეს კაბინეტი თავის კურსს მეფის სურვილსა და პოლიტიკურ ორიენტაციას უთანხმებდა. მან გარკვევით მეტი თავდაჭერილობა გამოიჩინა, საქმის მხრივ, შეთანხმების სახელმწიფოებისადმი, ვიდრე ვენიზელოსის კაბინეტმა. ამავე დროს შეთანხმების სახელმწიფოებმა მოუხრეს თავიანთი დემარშები და კომპენსაციები. ზოგჯერ მუქარის მუშტიც კი მოუღერეს საბერძნეთს. ამასთანავე გავლენიანი ვენიზელოსი, რომელსაც პალატის უმრავლესობა მხარს უჭერდა, აშკარა და ფიცხელ აგიტაციას წეოდა თავის პოლიტიკურ კურსის სასარგებლოდ. გაიკვანძა ერთგვარი კრიზისი საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთ დროს მეფემ მიმართა ჩვეულ მარჯვე საშუალებას: პირველ მინისტრს სამინისტროს გადადგომის განცხადება შეატანინა და ზაიმისის კაბინეტი გადგა. მაშინვე ხან-დაუზმელად შესდგა ახალი კაბინეტი, რომელსაც სათავეში მოექცა ბ-ნი სკულუდისი. მინისტრებად ისევ ძველი პირები დარჩენ. აქ აშკარად მოსჩანდა წინასწარი გეგმა და განზრახვა მეფისა და მთავრობისა. „ახალ“ კაბინეთს ოპოზიციაში ჩაუდგა ისევ ისე ვენიზელოსი თავის პალატის უმრავლესობით. მეფესა და მთავრობას, როგორც ეს წინა დღის დეპეშებმა გადმოგვცეს, ადრევე გადაწყვეტილი ჰქონდათ პალატის დათხოვნა უკეთუ იგი ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას. ასეც მოხდა. მთავრობამ პალატა დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. მთავრობა მთელს თავის მექანიზმს აამუშავებს და ყოველ ღონეს ილონებს, რომ თვისი მომხრე უმრავლესობა აარჩევინოს. მანამდე ბალკანეთის ფრონტი დასრულებულ სახეს მიიღებს. ამა თუ იმ მებრძოლის უპირატესობა ბალკანეთის სასწორზე აშკარად გამოირკვევა და საბერძნეთის მთავრობასაც შეეძლება საბოლოოდ ერთი ურყევი გადაწყვეტილება მიიღოს;

მეგრი.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სერბეთის კრიტიკული მდგომარეობა.**

ცნობები მოდის ორშოვოსთან შეუწყვეტლივ მოდის ავსტრო-გერმანთა ახალ-ახალი ძალები და სერბეთის ჯარებს სხვა და სხვა მხრიდან ერტყმიანო. სერბებმა დაიხიეს. მდგომარეობა ფრიად კრიტიკულია, განსაკუთრებით იმიტომ უფრო, რომ სერბეთის არმიას უკან გაუვალი მთა-გრეხილია. უგზოობა სრულს საფრთხეს უქადის მათ. გერმანელებმა მორავის ღელე დაიჭირეს. ორი დღეა კრუშევცესთან სასტიკი ომი ხდება, უეჭველია, ეხლა სერბები დასცლიდნენ მას. აგრეთვე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბულგარეთის ბრძოლის პირზე. 23 ოქტომბ. ბულგარებმა აიღეს ნიში. თქმა არ უნდა, ეხლა უფრო დასავლეთით იქნებიან.

**დღესასწაული ბულგარეთში.**

ბულგარეთში ბრწყინვალე დღესასწაული გადაიხადეს ნიშის აღების გამო. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ ფერდინანდი და რადოსლავოვი.

**შეხვედრის მოლოდინში.**

ათინაში ცნობა მოვიდა, კაჩანიკის უღელტეხილთან სერბებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მტრის მოზღვავებას მაინც ვერ უძლებენო. სერბებმა მიტროვიცა დასცალეს, მდგომარეობა ფრიად სერიოზული ხდება, მით უმეტეს, რომ მორავის ღელეში სულ მოკლე ხანში მოხდება ბულგარეთისა და გერმანთა ჯარების შეხვედრაო.

**მეფე კოსტანტინეს მუქარა.**

ვენიზელოსის მოქმედებას დიდად გაუანჩხლებია საბერძნეთის მეფე კონსტანტინე. თუ ჩემს პოლიტიკას წინ აღუდგება იგი, მზად ვარ დიქტატურა გამოვაცხადოო.

**220 ათასი ფრანგი.**

პარიზიდან იუწყებიან, სალონიკში ფრანგებმა 220 ათასი ჯარისკაცი გადასხესო.

**კევეში სჩივის.**

ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარითა უფროსი გენერალი კევეში სჩივის: გალიციის უგზო-უკვლობა შეუძლებელია შევადაროთ იმ სიძნელეს და ათასგვარს დაბრკოლებას, რასაც განიცდის ჩვენი ჯარი სერბეთში მოქმედების დროსაო. ავტომობილები ტალახში იფლიანა, მთელი გზები სავსეა დახოცილ ცხენების ლეშით. ჩვენი ჯარისკაცები ზეკაცურ ძალღონეს იჩენენ ამ დაბრკოლებათა გადასალახადაო.

**ხაკი-ფაშას აზრი.**

ოსმალთა ელჩს ბერლინში უთქვია ერთ ჟურნალისტისთვის: „ოთხთა კავშირის დიპლომატიის მთავარი შეცდომა ის გახლავს, რომ ყოველთვის აგვიანებენ. იტალიამ დაიგვიანა, რადგანაც მას მხარი უნდა დაეჭირა მოკავშირეებისთვის იმ დრომდე, ვიდრე რუსების ჯარები კარპატებიდან გამოვიდოდნენ. თუ ინგლისს ბელგეთის გადარჩენა სურდა, უნდა იმ დრომდე ექნა რამე, ვიდრე ბელგეთი არსებობდა. ეხლაც დაიგვიანეს სალონიკში ექსპედიციის გამოგზავნის დროს. ღრმად დარწმუნებული ვარ, ვიდრე მაკედონიაში ეგენი საკმაო ჯარებს მოუყრიან თავს, სერბეთი შესწყვეტს არსებობას. თუ ოთხთა კავშირს მართლა სურს რამეს გახდეს ბალკანეთში, მაშინ უნდა იცოდეს კიდეც, რომ აქ ასი და ორასი ჯარისკაცი არა კმარა. ეს დავინახეთ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე, ამასვე მალე ვაჩვენებთ სირიაში, თუ მათ ახალი გეგმა აქვთ მცირე აზიის ნაპირებზე გვესტუმრონ როდისმე მაინც. ოსმალეთმა მშვენივრად იცის, რაც ელის მას და ამის თანახმად მოქმედებს კიდეც, რაც შეეხება სალონიკში გადმოსხმულ ჯარებს, მოკავშირეთ, უეჭველია, დაჰვიწყებიათ, რომ მარიცის გასწვრივ ბულგართა ჯარების გარდა ოსმალთა დიდ ძალებთანაც ექნებათ საქმე, რომელთაც გამოცდილი გოლც-ფაშა ხელმძღვანელობს. საბერძნეთის მხრით კი არავითარი სიუპრიზს არ მოველით, რაკი ვენიზელოსის მეფობას ბოლო მოეღო. რუმინეთიც ასევე აშკარად და დაურიდებლად აწარმოებს თავის პოლიტიკას. რუსეთს შეეძლო საკმაო გავლენა მოეხდინა მაზე, თუ რომ საგრძნობელ ჯარებს თავს მოუყრიდა რუმინეთის საზღვრებზე. რაც შეეხება გერმანოოსმალთა გალაშქრებას ეგვიპტისაკენ, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ბრძოლაო.

**ავსტრიელი მფრინავები ვენეციაში.**

ვენეციაში გაჩნდნენ ავსტრიელი მფრინავნი და 2 ათასი მეტრის სიმაღლიდან ყუმბარები ჩამოჰყარეს წმ. მარკოზის მოედანზე.

**ფერდინანდის მანიფესტი.**

მეფე ფერდინანდს სხვათა შორის უთქვია თავის მანიფესტში: ომის შემდეგ დაარსდება დიდი ბულგარეთი, ხოლო მე, ფერდინანდი, თეოდორე პირველი გავხდები, იმპერატორი დიდი ბულგარეთისაო.

**სამხედრო მინისტრის დაჯილდოება.**

ათინიდან იუწყებიან, რომ მეფემ მოწონების ნიშნად სამხედრო მინისტრი დემონსტრატიულად დააჯილდოვა და თავის გენერალ-ადიუტანტად დანიშნაო. ამ ამბავს მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ვენიზელოსის მომხრეთა შორის.

**დიდი სამზადისი.**

იმის გარდა, რომ უდიდესი ზარბაზნები მოზიდეს რიგა-დვინსკის ხაზზე, გერმანელები ყოველ დღე სამ-სამ მატარებელ ტყვია-წამალს ეზიდებიან პონევეჟის მხრით, ამდენივე მატარებელი მოდის ვილნოს გზით. ამას გარდა იარაღი ვილკომირიდანაც მოაქვთ.

**პაშიჩის თხოვნა.**

„Times“-ი გადმოგვცემს პაშიჩის ტელეგრამის სრულს ტექსტს: „სერბეთი ზეკაცურ ძალღონეს იჩენს, რომ თავის არსებობა დაიცვას თანახმად ჩვენი უდიდესი მეგობრების რჩევისა და სურვილებისა. ამის გამო ავსტრო-გერმანებმა ჩვენ სასიკვდილოდ გაგვიმეტეს. აგერ 20 წელია რაც ჩვენი მტრები სცდილობდნენ ჩვენს მოსპობას. მიუხედავად ჩვენი ჯარების თავგანწირულებისა, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მათმა სიმამაცემ და გმირულმა გაუტეხლობამ უსაზღვროდ გასძლოს. ჩვენ ვსთხოვთ ჩვენს ინგლისელ მეგობრებს ყოველი ღონე ილონონ, რათა ჯარები მოგვაშველონ, მით უმეტეს, რომ ჩვენ საზოგადო მიზნისთვის ვიბრძვით.“

**ვარნას იცავენ.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: შეშინებული ბულგარეთი ეხლა ვარნას დაცვას დიდს ყურადღებას აქცევს, რა არის, რუსების ფლოტი კიდევ თავს არ დაგვესხასო. ამიტომ ვინოგრადიდან პროჟექტორებით შავ ზღვას

ანათებენ კარგა მანძილზე. ამავე დროს ბულგართ ნალმოსნები ზვერავენ ნაპირებს, რომ თუ რუსის ფლოტი მოახლოვდა, ასტეხოს სროლა.

**გეშოვის რჩევა.**

გაზეთ „მირში“ გეშოვი მიჰმართავს საბერძნეთს, თქვენთვის ნეიტრალიტეტის დაცვა ფრიად სახეირო იქნებაო. ყოველ შემთხვევაში საბერძნეთმა უნდა უწყოდეს, რომ მისთვის უდიდეს ხიფათს ისევ დიდი სერბეთის დაარსება უფრო უმზადებდა, ვიდრე ძლიერი ბულგარეთის დამყარებაო.

**სერბეთის მთავრობა.**

კრალიევოდან სერბეთის მთავრობა მიტროვიცაში გადავიდა. აქეთკენვე გაემართნენ უცხოელთა წარმომადგენელნი.

**რუმინეთის პოზიცია.**

რუმინეთის მეფეს განუცხადებია, ჩვენ არ გვმართებს ნაადრევად ყვირილი იმის შესახებ, თუ როდის გამოვალთ ბრძოლის ველზე. ჩვენი ქვეყანა თავისუფალია ყოველგვარ დიპლომატიურ და სამხედრო ვალდებულობიდან. მხოლოდ გაზაფხულზე გადავწყვეტთ, საით წავალთ, მარჯვნით თუ მარცხნითაო.

**ცეცხლი არხანგელსკში.**

არხანგელსკში უშველებელი ცეცხლი გაჩნდა, რამაც ჩანთქო მრავალი უძვირფასესი საქონელი, რომელიც რუსეთიდან ინგლისში და ამერიკაში უნდა გაეგზავნათ. სხვათა შორის დაიწვა ძვირფასი ტყავეულობა. მოსკოვის ერთმა ექსპორტერმა დაჰკარგა 300 ათასი მანეთის საქონელი. საზოგადო ზარალი მილიონ მანეთს აღემატება. დამზღვევ საზოგადოებათა შორის ყველაზე მეტი ზარალი „სალამანდრის“ საზოგადოებას მოსვლია. საინტერესოა, რომ ცეცხლის შესახებ ამბავი მოსკოვის სავაჭრო-მრეწველობის საზოგადოებამ მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგო, მაშინ როდესაც არხანგელსკშივე ამ ცეცხლის შესახებ ნიუორკიდან შეეკითხნენ ნამდვილს ამბავსა.

## ბრძოლის ველზე

ცნობებით ღარიბია მთავარი შტაბის დღევანდელი დეპეშა. შლოკისა და ბაბიტის ტბის რაიონში, სადაც ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში წვრილ-წვრილი, მაგრამ მუდმივი შეტაკება ხდებოდა, დღევანდელ დეპეშაში ნახსენები არ არის. ბრძოლას ადგილი გადაუნაცვლია, მდ. დვინის ზედ მარცხენა ნაპირზე გაჩაღებულა: დეპეშის ცნობით იქსკიულის რაიონში, მძიმე არტილერიის საშუალებით რუსებს აუღიათ ბერზემიუნდე და რამდენიმე ათი ტყვე წამოუყვანიათ და ორი ტყვიის მფრქვეველი წამოუღიათ. იქსკიულის რაიონიდან მოყოლებული ვიდრე რაფალოვკამდე, სამხედრო მოქმედების შესახებ დეპეშაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მხოლოდ სოფელ კოსტიუხნოვკასთან, რომელიც რაფალოვკის დასავლეთით მდებარეობს, დაახლოვებით ექვსი-შვიდი ვერსის სიშორეზედ, ცხარე ბრძოლა მომხდარა კოლკისა და ჩარტორისკის რაიონში, სადაც დეპეშების სიტყვით გერმანელები თავს უყრიან დიდძალ ჯარს. მოსალოდნელი დიდი ბრძოლა სჩანს ჯერ არ დაწყებულა. დეპეშა დამატებით ცნობებს იძლევა კოლკის რაიონიდან ჩამოყვანილ ტყვეების რიცხვის შესახებ.

კავკასიის ბრძოლის პირზე შეტაკება მოსვლიათ მოპირდაპირეთა მოწინავე რაზმებს სოფელ ახას და ქალაჯიქის მთის ფრონტზე, აგრეთვე ხოროსანის რაიონის სამხრეთით ხალიასდაგის მთასთან და სოფელ ჯოროვთან. საერთოდ კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შესამჩნევად გაცხოველდა შედარებით იმასთან, რაც იყო ამ ორი კვირის წინად.

მეგრი.

## შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი, 24 ოქტ.** ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მდ. დვინის მარცხენა ნაპირის რაიონში რუსებმა აიღეს ბერძემიუდე, ამასთანავე რამდენიმე ათეული ტყვე წამოიყვანეს და 2 ტყვიისმფრქვეველი დარჩათ დავლად. გერმანელებმა ორჯელ კონტრ-იერიშით შეუტიეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ს. კოსტიუხნოვკასთან, დაბა რაფალოვკის დასავლეთით სასტიკი ბრძოლა ასტყდა. დამატებითი ცნობებით, წინა დღეებში ზედმეტად წამოყვანილია 1500 ჯარისკაცი 21 აფიცრითურთ და 11 ტყვიისმფრქვეველით. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტი.** ტორტუმის ტბის რაიონში, ყალაჯიკის ბრძოლის პირზე, სოფელ ახასთან, აგრეთვე ხორასანის სამხრეთით მოწინავე რაზმთა შეტაკება ხდება.

## ჯანდაბას!

დიახ, ორ მილიონ ქართველობაში წელიწადში მხოლოდ **ასი ქართული** წიგნის მოთხოვნილებაა (მაჯლაჯუნას ძილი არ არის ეს, მაშ რა ჯანდაბაა!)...

ასე მწუხარედ სჩივის ბ. ილ. ალხაზიშვილი „სახალხო ფურცელში“ ქართულ მწიგნობრობის დაცემის თაობაზე.

ერთ გამოჩენილ მგზავრს აფრიკაში მოგზაურობის დროს შეუვლია ჰოტენტოტის ქოხში, რათა მათი შინაური ავლადიდება დაეთვალიერებინა და გასცნობოდა.

ქოხის პირველ ოთახში კედლები მოფენილი იყო ჩამოკიდულ მძივებით, ღილებით, ეჟვნებით და მრავალ სხვა უბრალო ნივთით, რომელსაც ევროპიელი ვაჭრები უხვად აწვდიდნენ იქაურ გულუბრყვილო ველურებს და რის სამაგიეროდ მათ გაჰქონდათ აუარებელი მდიდარ ქვეყნის დოვლათი.

გაკვირვებულმა მგზავრმა ჰოტენტოტის ქოხში ვერ ნახა ვერც ერთი ნივთი, რომელიც ამ ქვეყნის ნაწარმოები ან და მცხოვრებთა სულის კვეთების დამახასიათებელი ყოფილიყოს. და გაოცებულმა უთხრა თავის პატრონს: მიჩვენე შენი ხელებით გაკეთებული ნივთიო ჰოტენტოტმა მგზავრი გააძვრინა ქოხის ერთი კუთხის ხვრელში და თავი პაწია ბნელ საკუჭნაოში ამოაყოფინა.

საკუჭნაოს კუთხეში ეყარა აკოკოლავებული ხროვა ადამიანთა ქალა ძვლებისა.

აი ჩემი ხელებით გაკეთებულიო!

ერთ ქართველის სახლში ასეთივე სურათს წავაწყდი. კედლები მოფენილი იყო უბრალო სურათებით რუსეთის თუ ისპანეთის ცხოვრებიდან და ვიღინდარა უცხო მხატვრების რაღაც პორტრეტებით. ეტაჟერკები სავსე უშინაარსო, მაგრამ ძვირფას ნივთებით; ყოველ კუთხეში წამოსკუპებული ქანდაკებები იტალეთის „ბეჰპოებისა“. ჩაის სმის დროს დავიწყეთ ჩვენებური „პატრიოტული“ სჯა-ბაასი.

ჩვენი მასპინძელი „მამულიშვილი“ როდესაც მგრძნობიარე სიტყვებში გაერთო წამავლო ხელი და თავის კაბინეთში შემიყვანა. დიდის სიფრთხილით ტახტის ქვეშიდან გამოაცურა პატარა ყუთი. გაგლო და ამოიღო ფერადებით ნახატი მშვენიერი, მაგრამ საგრძნობლად დაზიანებული ძველი სურათები მეფე ერეკლესი, ალექსანდრე ბატონიშვილისა.

— ბავშვებმა გამიფუჭეს, თორემ კარგად შენახული იყო—მითხრა მან.

— რატომ არ მორთავთ ამ სიმშვენიერით თქვენს დარბაზს—ვკითხე.

— ეჰ, ნეტავი თქვენ... ჩემ სახლში მრავალი უცხო ხალხი მიდი-მოდის.. რა საჭიროა ჩემი „პატრიოტობა“ თვალში ვუჩხირო. მე გავჩუმდი. მოსაუბრემ მიჰმალა თავისი კუთვნილება ყუთში და კვლავ ტახტის ქვეშ სიბნელეს მიაბარა.

მივიხედ-მოვიხედე, „კაბინეთში“, ორი წიგნის საწყობი აჭრელებული კუპრინ-შჩედრინ-შელერ მიხაილოვსკებით სევდიანად გადმომყურებდა. დავტოვე „საკუჭნაო“ სადაც ჩვენებურმა ჰოტენტოტმა მორცხვად მიმალა „ქალა-ძვლები ერეკლესი და ალექსანდრესი და მივატოვე მისი სახლიც.

ამ ჰოტენტოტობას განმარტება უნდა? დღევანდელმა გამოღვიძების ხანამ თუ რამ გამოასწორა, თორემ აქამდის ასეთსავე სურათებს, ბევრს ქართულ ოჯახში წააწყდებოდით...

მათ წიგნის საწყობებში ერთ ქართულ—წიგნს ვერ შეხვდებოდით და ვერც ერთ სურათს ჩვენი წარსულ-აწმყო ცხოვრებისას...

ქართველის სახლი ამ მხრივ ჰოტენტოტის ქოხს მოგაგონებდათ სავსეს უცხო „ზიზილ-პიპილებით, მძივებით და სხვ.“

ბნელ საკუჭნაოებში კი ხშირად წააწყდებოდით დაფლეთილ, გავერანებულ მტვრით მოფენილ ძვირფას ქართულ წიგნებს, სურათებს, ნივთებს...

„ქალა-ძვლებად“ ქცეულებს.

და არც საკვირველია, რომ აქამდის ქართულ წიგნის მოთხოვნილებაც სუსტი იყო...

რადგან სუსტი იყო ჩვენი ეროვნული ცხოვრების მაჯის ცემაც.

ვამბობ იყო, რადგანაც დღეს ასე აღარ არის...

დროზე გამოვიღვიძეთ, დროზე შევიგნეთ ჩვენი დიდი შეუგნებლობა.

ქართულ მწიგნობრობის საქმე ამ უკანასკნელ დროს წინ მიდის... და შესამჩნევადაც.

წყურვილი და მოთხოვნილება ქართულ წიგნისა დღითი დღე იზრდება და მატულობს და თუ გარეშე პირობებმა ხელი არ შეუშალეს ფართოდ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს.

საჭიროა მხოლოდ წიგნის გამომცემლობა კარგად მოეწყოს და მკვიდრ რაციონალ დონეზე დამყარდეს, რომ ქართველ მკითხველს შინაარსიანი და კარგად გამოცემული ქართული წიგნი მიაწოდოს.

კარგი ქართული წიგნი, კარგი სურათი, კარგი ქანდაკება ეროვნულ შინაარსისა და სახისა საბოლოოდ მოსპობს ჩვენი წარსულის და ახლო აწმყოს ზემონახსენებ ქართულ ჰოტენტოტურ სიბოროტის ნაშთსა!

ჩვენს ეროვნულ ცხოვრების „ქალა-ძვლებად“ გადაქცევასაც.

და სრული იმედი უნდა გვქონდეს რომ ახლო მომავალში ამ ნაშთს მართლაც გზას დავულოცავთ და მივაძახებთ: ჯანდაბას!

ეკალი.

## არ მინდა—ქალაქის თავი!

ყველაზედ შესანიშნავი ქალაქი ამ ჟამად გორია.

კორესპონდენტები იწერებიან:

— არასოდეს არ ყოფილა გორი ასე გამოცოცხლებული, ასე მღელვარე როგორც ეხლა!

— რა მოხდა?

არაფერი. გამოვიდა ქუჩაში ბატონი გრიგოლაშვილი და განაცხადა:

— ქალაქის თაობა არ მინდა!

გორის მოქალაქენი მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ გორს ქალაქის თავი არა ჰყავდა და გრიგოლაშვილს იმ წამსვე სამას სამოცდა სამი კურიერი მიუგზავნეს.

კურიერებმა დაუჩოქეს გრიგოლაშვილს და სთხოვეს:

— შენ არ გინდა ქალაქის თავობა, მაგრამ მოიღე მოწყალება, იყავი ქალაქის თავად!

— არ მინდა! მე ხომ ქართულიც არ ვიცი!

უპასუხა თავმდაბლად გრიგოლაშვილმა და კურიერებს მადლობა გადაუხადა. მაგრამ საღამოზედ ქალაქის კლუბში შეიარა და უწინ რომ ყველაზე ადრე „ტიფლისკი ლისტოკ“-ს თხოულობდა, ახლა ყველაზედ უფრო გავრცელებული ქართული „ზვირთი“ მოითხოვა.

და როცა სახლში ბრუნდებოდა, გაიფიქრა,

— რით არა ვარ ქართველი!?..

მეორე დღეს სამას სამოცდა სამი გორელი კურიერი კვლავ მივიდა გრიგოლაშვილთან და დაუჩოქა:

— მამულიშვილო! ჩვენო სწორ-უპოვარო! მიიღეთ მოწყალება, იყავით ქალაქის თავად!

— არ მინდა! უპასუხა გრიგოლაშვილმა მრისხანედ.—მე ერთი რუსეთში ნამყოფი ნაჩინოვნიკარი ვარ! რა ჩემი საქმეა ქალაქის თაობა!

და კურიერები ისევ დაითხოვა.

მაგრამ შუადღისას, ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების მდივანი გამონახა, ხელში სამ მანეთიანი ჩაუდო და უთხრა.

— ჩამწერეთ მეც წევრად. საშინლად მიყვარს ქველმოქმედება.

და როცა სახლში ბრუნდებოდა გულში ფიქრობდა:

— რითა ვარ მარტო ნაჩინოვნიკარი? აჰარლები მეც მიყვარს!

მესამე დღეს, სამას სამოცდა სამი გორელი კურიერი კვლავ მივიდა გრიგოლაშვილთან და დაუჩოქა:

— ქველმოქმედო ჩვენო, ხელგაშლილო! მოიღეთ მოწყალება, იყავით ქალაქის თავად!

— არ მინდა! სთქვა განრისხებულმა გრიგოლაშვილმა და სამას-სამოცდა-სამი გორელი კურიერს ეხლა კი სახლიდან ერეკება.

მაგრამ სახლის კარები კი ღია დასტოვა.

— ვიცი რომ კურიერები კიდევ მოვლენ. ჯანდაბას მათი თავი, დეე, შემოვიდნენ.

ბოლოს არჩევნების დღეც მოვიდა.

გრიგოლაშვილი იჯდა საარჩევნო დარბაზში და ფიქრობდა:

— მე კარგი ქართველი ვარ, უხვი ქველმოქმედიც, საზოგადოებასაც უყვარვარ, საბუთი—სამას-სამოცდა-სამი კურიერი! მაგრამ აი რა?

და აქ [illegible]რების თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა:

— უფლება მაქვს თუ არა ჩემ თავს მეც მივცე თეთრი კენჭი? იკითხა გრიგოლაშვილმა.!

— გთხოვთ! უპასუხა თავმჯდომარემ.

— მაშ, დამიდგით ყუთი! მეტი ღონე არ არის!

გრიგოლაშვილმა პირველმა ჩააგდო თეთრი კენჭი თავის ყუთში. მას წაბაძა სხვა ხმოსნებმაც და გრიგოლაშვილი ერთის ხმის უმეტესობით გაიყვანა ქალაქის თავად.

ასე გახდა გორი ყველაზედ შესანიშნავ ქალაქად, ხოლო მისი თავი, ყველაზედ შესანიშნავ ქართველ თავად.

ფარსმან-ფარუხი.

## საზოგადოებანი და კრებები

**ქართულ ისტორიის ლექციები.**

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭომ სთხოვა ისტორიკოსს თ. დ. ჟორდანიას ქართულ ისტორიის სისტემატიურ კურსის წაკითხვა უახლოვესს მომავალში. ბ-ნმა ჟორდანიამ უპასუხა საბჭოს, რომ ის მადლობით იღებს საპატიო დავალებას ოღონდ აცხადებს, რომ სისტემატიური კურსის დაწყებამდე მას საუკეთესოდ მიაჩნია ისტორიულად შეეხება ის მოვლენათა, რომელთაც კავშირი აქვთ ზოგიერთ ჩვენის თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო კითხვებთან ცრუ წარმოდგენასთან წარსულის ჩვენის ცხოვრებისა, მაგალითად: ქართველთა ანტიურ ქრისტიანულ წყობილობაზე, საზოგადოების კლასთა ურთიერთობაზე. სახელმწიფო და საეკლესიო თავისებურობაზე და სხვ. ეს კითხვები ბ. ჟორდანიას პირველ ლექციების შინაარსს შეადგენენ. საბჭო სავსებით დაეთანხმა ლექტორის გეგმას. ლექციები დაიწყება ნოემბრის დამლევს ან დეკემბრის პირველ რიცხვებში.

**თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებაში.**

29 ღვინობისთვეს სხდომა ჰქონდა „თბილისის ქალთა საზოგადოების“ გამგეობას. გამგეობამ გადასწყვიტა შევიდეს წევრად **ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში.** გამგეობამ ერთხმად მიიღო ქ-ნ **ოლღა ალლაძის** წინადადება დაარსდეს დაბალი ტიპის ქალთა სამეურნეო სასწავლებელი სოფლად.

**ხვალინდელ დამატებაში მოთავსებული იქნება ვალ. სიდამონოვ-ერისთავის მიერ შესრულებული სურათები: „იპოვეს“, „ცეკვა“ და კარიკატურები: „ქართლის დედა ძველად და ეხლა“, „ტელეფონთან“. ზოლას მოთხრობა „ბ-ნ შაბრის ლოკოკინები“ თარგმანი დ. კ—ძის მიერ და სხვა.**

## ახალი ამბავი

✦ **კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში.** შაბათს, 31 ოქტომბერს, დანიშნულია მუშა ქალთა კლუბის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს კლუბის გამგეობის ექვსი წევრი.

არჩეულმა პირებმა, კავკასიელ ქალთა საზოგადოების მიერ არჩეულ ექვს წევრთან ერთად, მომავალ კვირიდან უნდა განაახლონ კლუბის მოქმედება. ამ კრებაზევე მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ კლუბის წევრებად. კრება დანიშნულია საღამოს 5 საათ. მუშა ქალთა კლუბის ბინაზე, გოგოლის ქ., № 64.

✦ **მეფის ნაცვლის კანცელარია** სთხოვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას შეატყობინოს მას: რამდენ გადმოხვეწილს უწევს მზრუნველობას ხსენებული საზოგადოება, სად არიან დაბინავებულნი ეს გადმოხვეწილნი, რა სარწმუნოებისანი არიან და რა ეროვნებისანი, რაში გამოიხატება საზოგადოების მათდამი დახმარება, რამდენი დაეხარჯა მათზე საზოგადოებას გასული წლის განმავლობაში, რა საშუალებით ფიქრობს საზოგადოება მათ უზრუნველყოფას ორი თვის განმავლობაში და რამდენი ფული იქნება ამ ხნის განმავლობაში საჭირო, რა ღონისძიება აქვს საზოგადოებას და სხვ.

✦ **საქალაქო სტიპენდიების განაწილება.** 29 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ გაანაწილა განთავისუფლებული საქალაქო სტიპენდიები. ერთი სტიპენდია ერგო მეოთხე გიმნაზიის მოსწავლე ქალს ლოლობერიძეს.

✦ **ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის** სამზრუნველო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა გიმნაზიის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უდრის 71,050 მანეთს.

✦ თამარ არტემის ასულმა ჯაყელისამ გადასცა კავკასიის ქალთა საზოგადოებას თავის დედის, ბარბარე მიხეილის ასულის ხარაზოვის ნაანდერძევი 500 მანეთი.

✦ **ქართულ წარმოდგენების გარშემო.** 29 ოქტომბერს ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა დაიბარა სახალხო სახლთან არსებულ სექციების წარმომადგენელნი და ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა მათთან შესახებ იმისა, რომ სექციებმა დღეები არ დაუთმეს ქართველ მსახიობთ სახალხო სახლში წარმოდგენების გასამართად. ბ-ნმა ხატისოვმა სინანული გამოსთქვა სექციების ასეთ მოქმედების გამო და წინადადება მისცა წარმომადგენელთ დააკმაყოფილონ მსახიობთა კანონე- ჰქონდეს ადგილიო. სექციებს ამ საგნის გამო კვირას, 1 ნოემბერს, ექნებათ თათბირი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საბურთალოს აუდიტორიაში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ შიუკაშვილის 4 მოქმედებიანი პიესა „მეგობარი“.

✦ **ჯამაგირების მომატება.** ფოსტის თხოვნა. წინაალმდეგ შემთხვევაში ბ-ნი ხატისოვი დაემუქრა მათ, რომ მომავალ წელში ქალაქის გამგეობა თქვენს განკარგულებაში აღარ დასტოვებს სახალხო სახლს, რათა ასეთ შემთხვევებს კვლავაც აღარ [ჰქონდეს ადგილი]... ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა ბ-ნმა მუსელიუსმა პეტროგრადიდან დეპეშით ცნობა მიიღო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ ჯამაგირები გაუდიდდათ 30 პროცენტითო.

✦ **საბავშვო საღამო.** შაბათს, 31 ოქტომბერს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება საბავშვო საღამო შემდეგის პროგრამით: ბავშვთა მგალობელი გუნდი ჩარკვიანის ლოტბარობით, სინემატოგრაფი, დივერტისმენტი, ცეკვა და ორკესტრი. დასაწყისი ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე.

✦ **დაჯილდოვება.** მობილიზაციის დროს განსაკუთრებულ შრომისათვის სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვებულ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი.

✦ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ჩქარა გასასყიდად გამოვა აპოლონ წულაძის მიერ შედგენილი წიგნი—„ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს“. წიგნის წმინდა შემოსავალი მოხმარდება დაზარალებულ აჭარლებს.

✦ **სამარხი კასა.** თბილისის სახელოსნო გამგეობასთან 1904 წელს ხელოსნებმა დაარსეს სამარხი კასა. მაშინვე ჩაეწერა კასაში წევრად 200 კაცი და ფულიც შეგროვდა 1.385 მანეთამდე. მას შემდეგ ამ საქმემ მიიძინა და დღემდის არა გაკეთებულარა. ეხლა კასის წევრები შუამდგომლობენ გუბერნატორის წინაშე, რომ კასის მოქმედება განახლდესო.

✦ **ხელოსანთა კლუბმა** საზამთრო ბინად დაიქირავა თავ. ქობულაშვილის სახლი, გრიბოედოვის ქუჩაზე. 1 ნოემბრიდან 1 მაისამდე. კლუბმა უნდა გადაიხადოს ამ სახლის ქირა 7.000 მან.

✦ **მამასახლისის არჩევა.** 29 ოქტომბერს მოქალაქეთა კრება შესდგა, რომელზედაც მამასახლისად არჩეულ იქმნა ისევ ვ. ი. არაქელიანი, ხოლო მის კანდიდატად ი. ი. სააკასხოვი, ბ-ნს არაქელიანს წლიურ ჯამაგირად დაენიშნა 1.300 მანეთის ნაცვლად 1.500 მანეთი.

✦ **ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში** სწავლა შეწყვეტილა მომავალი წლის იანვრამდე, რადგან აკადემიის შენობაში გადმოხვეწილი სომხები მოუთავსებიათ კათალიკოსის განკარგულებით.

✦ **წლიური კრება.** რუსეთის მეხილეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 3 ნოემბერს. კრებამ უნდა განიხილოს გასული წლის ანგარიში და მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, აირჩიოს თანამდებობის პირნი და სხ.

✦ **ხოლერა.** გუშინ, 30 ოქტომბერს, ქალაქის ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 34 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. 29 ოქტ. ახალი ავადმყოფი არავინ აღმოჩენილა.

✦ **სურსათი.** 29 ოქტომბერს თბილისში შემოვიდა რკინის გზით: ფქვილი 11 ვაგონი, ფხვნილი შაქარი 4 ვაგ., მარილი 1 ვაგ., კარტოფილი 4 ვაგ., ბატები 2 ვაგ., ხილი 2 ვაგ., ხორბალი 3 ვაგ., ქატო 1 ვაგ., შეშა 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., მჟავე კიტრი 1 ვაგ., კომბოსტო 380 ფუთი.

## პირველი ჯერის მოლაშქრეთა გაწვევა

**თანახმად ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანებისა, სამხედრო სამსახურში იწვევენ სახელმწიფო ლაშქრის პირველი ჯერის მოლაშქრეთ (პირველი ჯერის რაზრიადის—რატ-**

**სამსახურში გაჰყავთ**

**პირველი ჯერის მოლაშქრენი 1906, 1907 და 1908 წლისა.**

## დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის-კაცნი

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: გოგიაშვილი ივანე იოსების ძე, ინასარიძე გიორგი ევგენისძე, მჭედლიშვილი ვასილ ანდ., კრაიძე ლიუდვიგ, ჩაჩანიძე გიორგი ეფრემის ძე, კალულაშვილი პარმენ, ფხალაძე ივანე პავლეს ძე, [illegible] ვარლამ ძოკისძე, [illegible], ალანია დომენტი [illegible] ძე, [illegible] ბესარიონ, გულავა ლუკა, მიქელაძე პარმენ, ახრახაძე ნიკო, ვარდიაშვილი ბესარიონ, გურგენაშვილი არტემ, გეგეჭკორი ილიკო გიორგის ძე, ქელაძე იასონ გიგოს ძე, ქეელაშვილი ნიკო გიგოს ძე, კუმკაშვილი თედორე ივანეს ძე, ბაჯადაშვილი სევერიანე, რიჟამაძე ვასილ ერასტის ძე, ჩიჩუა ივანე ონისიმეს ძე, გორდავა ხარიტონ, ლოლაძე ვალერიან (პარუჩიკი), ბოძაშვილი ალექსანდრე, შენგელია ნესტორ მანუკ., შელია გიორგი სიმონის ძე, ყურაბანისე ფარსადან გიორგის ძე, ჩხაიძე დიმიტრი პეტრეს ძე, ილიაშვილი ილარიონ ილიკოს ძე, ყურაშვილი ლავრენტი როსტომის ძე, რურუა რაჟდენ ადამის ძე, ქართველიშვილი სილევან პროკ., პიკაშვილი ნიკო გიორგის ძე, ოზაშვილი ფილიპე გიორგის ძე, ჩიჩუა არსენ ალექსანდრეს ძე, დოლაბერიძე ვარლამ, ლაბაძე ალექსანდრე ივანეს ძე.

## უპურობა თბილისში

ეს მესამე დღეა თბილისში დიდი უპურობაა. ყოველ ფურნესთან აუარებელი ხალხი იყრის თავს, მაგრამ პურს ვერ ღებულობს, რადგანაც არც ერთ ფურნეში არ ცხვება. თუ სადმე პური გამოჩნდა შეგროვილი ხალხი ერთიერთმანეთს ხელიდან სტაცებს.

გოლოვინის პროსპექტზე გუშინ ასეთი შემთხვევა იყო: ერთ მოზარდს სადღაც კარგა ბლომა პური ეშოვნა და მიჰქონდა. ერთმა რუსის მდაბიო ქალმა ფული შეაძლია, თუ ერთ პურს დაუთმობდა. მოზარდი არ დასთანხმდა. ქალმა მოზარდს პური გამოსტაცა და ხვედრი ფული ჯიბეში ჩაუდო ძალით. მოზარდმა ყვირილი მორთო და პოლიციას უძახდა, ყვირილზე ხალხი მოგროვდა, რომელმაც სავსებით გაამართლეს დამშეულ შვილების დედის საქციელი.

ფურნეებთან თავმოყრილი ხალხი უმთავრესად მდაბიო ხალხია. მდიდრები კიდევ ახერხებენ კონდიტერებში ნამცხვარით საზრდოობას, მაგრამ თითქოს განზრახ არც კონდიტერებში სჩანს საკმაო ნამცხვარი. ესეც არ იყოს, როგორ შეუძლიან კონდიტერებში გამომცხვარ „ბულკებს“ იმ აუარებელ ხალხის დაპურება, რომელთა უმთავრეს საზრდოს პური და ხახვი, ან ყველი შეადგენს?

ეს არის მიზეზი, რომ ხშირად გაიგონებთ ამ ხალხისაგან ლანძღვას, როგორც მეფურნეებისას, ისე ქალაქის თვითმართველობისას.

მიზეზი უპურობისა ერთის მხრივ ფქვილის უქონლობაა ქალაქში, რაც ქალაქის თვითმართველობის უთაობის ბრალია, მეორეს მხრივ მეფურნეთა გაფიცვა ნიხრის თაობაზე.

მაგრამ ყველაზედ მთავარი ის არის, რომ არა სჩანან ადამიანები, ჩვენი ქალაქის მამები, რომლებიც დააშვიდებდნენ ხალხს და მეფურნეების თავგასულობასაც ბოლოს მოუღებდნენ.

## თბილისის ქალაქის გამგეობა და საკითხი მცხოვრებთა საკვების შესახებ

„კურდღელმა რამდენიც იყოვნა, იმდენი იხტუნაო“,—ამბობს ხალხი. ეს ბრძნული თქმულება ზედგამოჭრილია თბილისის ქალაქის გამგეობაზე. თუმცა წინადაც, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ გამგეობამ კიდევ უფრო შეაქცია ზურგი ქალაქის საქმეებს და როცა რომელიმე ხმოსანი, უფრო ხშირადკი ა. ს. ბაბოვი, მოაგონებდა გამგეობას მის პირდაპირ მოვალეობას, პასუხი მზად ჰქონდა ა. ი. ხატისოვს: ეს ასეაო, ეს ისეაო, ეხლა ეს არ არისო, შემდეგ ისე იქნებაო, გამგეობა შემდეგში წარმოგიდგენთ დასაბუთებულ მოხსენებასაო და სხ. გამგეობა ერთსა და იმავე ადგილას იბეკნებოდა, ხოლო ქალაქის საჭიროება თანდათან რთულდებოდა. ვინ ჩამოთვლის, რას არ აკეთებდა გამგეობა და რადარა საქმეში არ ერეოდა იგი! ოსმალეთის პოლიტიკა გინდა, თუ სპარსეთისა; ინგლისისა, თუ საფრანგეთისა; რუსეთის შინაური პოლიტიკა, უცხოეთიდან გადმოხვეწილებზე მზრუნველობა თუ კიდევ სხვა რამე; ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრები თავიანთ თავს ვალდებულად სთვლიდნენ ყველგან ამოეყოთ თავი და უკან არავის ჩამორჩენოდნენ. ამავე დროს ქალაქის პირველ საჭიროებათა საქმეები უყურადღებოდ მიტოვებული იყო, ალალბედზე მიგდებული და გამგეობა სხვა რამეში იყო გართული“.

ამ ხნის განმავლობაში ქალაქი ათასგვარმა საჭიროებამ უკიდურეს წერ-

ტილამდე მიაღწია და ამ საჭიროებათა შორის უპირველესი ადგილი, რა თქმა უნდა, ლუკმა პურის საკითხმა დაიჭირა. გამგეობამ ამ ბოლო დროს გაიგო, რომ თბილისში ფქვილი აღარ ყოფილა და რომ მოტანაც ეთობ საძნელო იყო. გაიგეს მხოლოდ მაშინ, როცა თვით გამგეობის წევრებმაც ვეღარ იშოვეს გამომცხვარი პური. მაშინ-კი გამგეობა ხელად შეიკრიბა სათათბიროდ და დაადგინა: მოდი გავგზავნოთ ბ-ნი ჯაბარი რუსეთისაკენ, იმას ისეთი თილისმა აქვს, რომ ცოტა თუ ამოსცხო ვაგონებს, მათ ვერაფერი გააჩერებს გზაში, ხელად ჩამორიხინდებიან თბილისშიო. ბ-ნი ჯაბარიც ადგა და წავიდა. იარა, იარა და მივიდა დონის როსტოვში; იქიდან დაბრუნდა უკან, კიდევ ბევრი იარა და მოვიდა თბილისს. მაგრამ უკაცრავად, სანამ ის თბილისში დაბრუნდებოდა, გამგეობამ ცნობები მისცა „ტიფლისკი ლისტოკს“ და „კავკაზსკოე სლოვოს“, რომ ჯაბარი იმდენ ფქვილს გზავნის, რომ თავზე საყრელად გვეყოფაო. მაგრამ რამდენად მართალი გამოდგა ეს ამბავი, ქვემოდ დავინახავთ. მ. ა. ჯაბარი დაბრუნდა თუ არა თბილისში, ჯერ გამგეობას და მერმედ ქალაქის საბჭოს მოახსენა, რომ ქვეყნიერობა შემომივლია, მაგრამ ასეთი ამბები რაც ეხლანდელ მოგზაურობის დროს შემხვდა, ჩემს დღეში არ მინახავსო. ჩვენს რკინის გზებზე ისეთი წესები ყოფილა, რომ ყველაზე ადრე დატვირთული ვაგონები თუ მოვლენ, ყველაზედ გვიან მოვლენ, თუ არა დ სულ უძრავად რჩებაო, ხოლო, გვიან დატვირთულები—ყველას წინ უსწრებენო; რკინის გზის სადგურები ისეა ვაგონებით გაჭედილი, რომ ნემსი არ ჩავარდება, რის გამო შემდეგ მოსული ვაგონებისათვის არც გამოსავლელი გზა არის და არც გასაჩერებელი ადგილი და ამისათვის ეს ვაგონები უკანვე ბრუნდებიანო; როსტოვში ერთმა წისქვილის პატრონმა ჩალის ფასად შემომძლია ფქვილი, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა რკინის გზის სადგურისათვის ჩამებარებინა და ამიტომ აღარ ვიყიდეო.

ბევრი რამ საკვირველება ილაპარაკა ბ-ნმა ჯაბარმა, მაგრამ ყველასი აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. სწორე მოგახსენოთ, პირადათ მე ჯაბარის მოტანილი ამბები ისე არ მაკვირვებს, რამდენადაც თვით ბ-ნი ჯაბარი და მისი ამხანაგები. მთელს დედამიწაზე საარაკოდ არის გადაქცეული რუსეთის რკინის გზის უწესრიგობა და ეს ამბავი ქალაქის გამგეობის წევრებმა სწორედ მაშინ გაიგეს, როცა თბილისში ფქვილი გამოილია და ხალხს შიმშილობა მოელის. კუდა ხარისა არ იყვეს, სხვის საქმეებში გარევას, საცა უმაგათოდაც იოლად წავიდოდნენ, ის არ აჯობებდა დროზედ ეზრუნათ ფქვილის მოტანის შესახებ?

ჯაბარის როსტოვში მოგზაურობამ, მართალია, პური ვერ შეგვძინა, მაგრამ გამგეობის წევრები საქმისათვის დააფაცურა. გამგეობამ დაადგინა და, რაღა თქმა უნდა, ჯაბარიც ყაბულს გახდა, რომ იგივე ბ-ნი ჯაბარი წავიდეს ბაქოში და იქიდან მოაწესრიგოს ფქვილის გადმოზიდვა მდინარე ვოლგით და შემდეგ კასპის ზღვით.

დაგვიანებული საქმე თუ გამოკეთდება, კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ საქმეს ერთი მცირე რამ უშლის ხელს, სახელდობრ ისა, რომ მდინარე ვოლგა და ამავე მდინარის შესართავთან კასპის ზღვაც ზამთრობით იყინება და ნავიგაციაც შეწყვეტილია მაშინ ვოლგა-ასტრახანზე. ეს ამბავი პირველი კლასის შეგირდმაც კი იცის და რატომ ქალაქის გამგეობის „ენციკლოპედისტებს“ ვერ გაუგიათ, საკვირველია. სანამ ბ-ნი ჯაბარი მიწერ-მოწერას დაასრულებდეს მდინარე ვოლგის ნაპირების მეწისქვილეებთან და მათ მოუწესრიგებოდეს, მანამდისინ მდინარეც გაიყინება და მაშინ ალბათ მარხილებით ჩამოაცურებს ფქვილით დატვირთულ ვაგონებს.

ერთი სიტყვით, რამდენიც იგვიანა ქალაქის გამგეობამ, იმდენს ეხლა ხტუნავს, ხან იქით ეცემა ხოლმე და ხან აქეთ, მაგრამ მისი იმედი აღარავის აქვს. რაც გაჭირვებაა დღეს თბილისში პურის უქონლობის გამო, ეს საიდუმლოებას აღარავისათვის არ შეადგენს, ყველასათვის ცხადია; ამიტომ ხალხის საჯების შესახებ ისევ მთავრობამ უნდა იზრუნოს დაუყონებლივ, თორემ ძნელია შიმშილი და ცუდი შედეგი მოჰყვება.

ლ. ლებანიძე.

# ნობათები

**კიდევ შეგებრძოლები, წერავ!**

I

შუაღამე გადასულიყო. ქარს იალქნები აეშვა და თავისუფლად დანავარდობდა: ხან თავს მოექცეოდა ხოლმე ქალაქსა, ხან ბოლოს.

— დაიძინე, თეოლა, დაიძინე!—მიმართა მუდარით ავადმყოფს, ექვსი წლის შვილიშვილს, ნინო თრიმლაძისამ.—მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭნია, შვილო! ხომ უარესად ავად გახდი! მანდე, ამ ერთ კვირაში რას დაემსგავსე!

ბავშვმა პასუხი არ გასცა. გატვრენილი იწვა და შავს დიდრონ თვალებს აბრიალებდა.

— ჩემო ბიჭუნავ, გამიგონე! აგრემც გენაცვლები, დახუჭე თვალები!..

ქარმა საშინლად დაჰბერა და სახლების სახურავებს რახა-რუხი აუყენა.

— დიდედო! — წამოიძახა უცბად თეოლამ.—თოფებს ისვრიან!

— აბა, რას ამბობ, შვილო! თოფებს აქ რა უნდა. ეგ, ქარმა კრამიტები გადმოყარა ძირსა.

— დიდედო, მამა როდის მოვა? მინდა ვნახო... ვაკოცო.

სიტყვა „მამა“-ს გაგონებაზე, ნინომ თავი ვერ შეიკავა და მწარედ ამოიოხრა. სახეზე უსაზღვრო ტანჯვა გამოეხატა.

— რა იყო, დიდედო?—შეეკითხა ავადმყოფი.

— არაფერი, არაფერი! — გაისმა ლუღლუღით პასუხი.

ნინომ თავს ძალა დაატანა და სახიდან ღრუბლები გადიყარა: არ უნდოდა ავადმყოფ ბავშვისათვის ეგრძნობინებინა რამე.

II

ორი შვილი ჰყავდა ნინოს და ორივე ომში წაიყვანეს: ერთი შარშან, უცოლო, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ იყო და მეორე წელსა, ცოლიანი, თეოლას მამა.

თეოლას დედა სუსტი აგებულობის ადამიანი იყო; რაკი ქმრისაგან ამბავმა დაიგვიანა, იდარდა, ჩაწვა ლოგინში და ორ კვირაზე მიწას ჩაჰბარდა.

ნინო ორმოცდა ათი ან თხუთმეტი წლისა იქნებოდა, მაგრამ ჯანსაღი იყო და ყველაფერს გმირულად იტანდა: ვერც უცოლოს შვილის სიკვდილმა, ვერც ცოლიანის უამბობამ და ვერც რძლის სიკვდილმა ვერ გატეხა. გული უტიროდა, მაგრამ თავი მაგრა ეჭირა. რძალი დაასაფლავა და მეორე დღეს შვილისაგან წერილი მოუვიდა, კარგად ვარ და ამა და ამ ქალაქში ვიმყოფებიო. ცოლის სიკვდილი შვილისთვის არ შეუტყობინებია, ვაი თუ გული გაუტყდეს და თავს არ გაუფრთხილდესო.

რაღაც მიზეზის გამო თეოლა დაავადდა. ნინოს ახლა ეს გაუხდა თავში საცემ საქმედ. დღე-მუდამ ბავშვს დასტრიალებდა, უვლიდა, სხვას ახლოს არ აკარებდა, ექიმები მოჰყავდა, იძახდა, თეოლა მაინც კარგამყოფი დაუხვედრო ჩემ შვილსაო, მაგრამ სულ ამაოდ: ბავშვი სულ უკან-უკან მიდიოდა. გამოუნელებელი სიცხე ჰქონდა და დნებოდა.

III

დღეს დიდედას წინ თეოლას აჩრდილი-ღა იყო. ბავშვს უძილობა ჰკლავდა. ხან სდუმდა და ფიქრობდა—ეტყობოდა ბავშვურ გონებაში რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა, ხან კიდევ ენად გაიკრიფებოდა ხოლმე და უცნაურ კითხვებს იძლეოდა.

— დიდედო!—წამოიძახა თეოლამ.—გარეთ მღერიან!.. აი სწორედ ისე, როცა დედა კუბოთი ეკლესიაში მიჰქონდათ.

— არა, შვილო! ეს ქარი ზუზუნებს.

— არა, დიდო, მღერიან! აგე, აგე! ვიღაც ტირის კიდეც.

— აბა, თეოლა, რას ამბობ? არავინაც არა ტირის. მხოლოდ ქარი წუწუნებს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიდედო, განა დედა მოკვდა? არ მომკვდარა.—ალაპარაკდა კიდევ თეოთა.—მამა და ის ერთად მოვლენ... მე ვიცი, რომ მოვლენ.

— კარგი, შვილო! გეყო ლაპარაკი, დაიღლები.

— დიდედო, კარს აკაკუნებენ.

— კარგი, ბიჭო, იკმარე! სისულელეს ნუ ამბობ!.. ქარი ხმაურობს.

— დიდედო, მინდა შენ მუხლზე თავი დავდო!

ნინომ აუწია შვილიშვილს თავი და მუხლზე დაისვენა. თეოლას კისერი ცეცხლთან მიტანილი წმინდა სანთელივით მოსდუნებოდა.

— კარი ვიღამაც გააღო!—წამოიყვირა ავადმყოფმა.

ნინომ უნებლიეთ კარს მიხედა.

— რა უცნაური ხარ, თეოლა! აბა, როდის არის კარი ღია?

— არა, ღიაა. შენ ხედავ, რომ ღიაა და მატყუილებ, ღია არ არისო.

— დიდედო, დიდედო! აგერ დედაჩემი! აგერ მამაჩემი! აგერ, აგერ! ხომ გითხარი, მოვლენ-მეთქი. არ დამიჯერე. აგერ სკამზე ჩამოსხდნენ, მე მიცქერიან!..

— შვილო, თეოლა, რა დაგემართა?!—შეეკითხა გამწარებული დიდედა.

— მამა! დედა!.. რატომ არ მოდიხართ?.. მოდით რაღა მაკოცეთ... მაშ მე მოვალ...

ბავშვმა ძალა მოიკრიფა და ისე სწრაფად წამოიჭრა ზეზე, რომ დიდედამ ვეღარც კი მოასწრო მისი დაჭერა.

— მოვიდნენ ჩემთან! მოვიდნენ ჩემთან!—მორთო სიხარულით ყვირილი თეოლამ და ცარიელ ძვლად-ღა ქცეული სუსტი მკლავები ჰაერში შეათამაშა.

მაგრამ ავადმყოფს მალე მუხლი მოეჭრა და დაბარბაცდა.

დიდედას ხელში შვილიშვილის უსულო გვამი ღა შერჩა.

— მაშ ესეც მე უნდა მივაბარო სამარეს?!—წამოილაპარაკა ნინომ მწუხარებით და ცხედარი ლოგინზე გადაასვენა, თვალები დაუხუჭა და გულხელი დაუკრიფა.

— ნინო თრიმლაძის სახელზე დეპეშაა!—დაიძახა ფოსტალიონმა.

ნინომ კარებისაკენ მიიხედა. ენათლა.

ჰირისუფალი წამოდგა, მივიდა კარებთან, გააღო და ფოსტალიონს დეპეშა გამოართვა.

— სახელოვანად მოკვდაო,—ატყობინებდა დედას შვილის ამხანაგი.

ნინო გაშტერდა. ვეღარა აწამა რა. მისუსტებული კარებთანვე სკამზე დაეშვა.

— მე რაღა დაუშავე.—სთქვა წყნარად.—რატომ მე კი აღარ წამიყვანეს? თუ ეს შვილი იყო,—გაიშვირა თითი საბრალომ თეოლასაკენ,—მე დედა ვიყავი. ვილასთვის, ან რილასთვის უნდა ვიცოცხლო?... ჰოი, წერავ, წერავ, მთელი სიცოცხლე შენ გებრძოდი! ჩემ ქვეყანას შვილებს ვუზრდიდი, დავზარდე კიდეც, მაგრამ გამარჯვება მაინც შენ დაგრჩა.

უბედურს სახე სიმწარისაგან ელმიჯებოდა.

ზეზე წამოდგა, ოთახის კარები მიხურა, მერე კარადასთან მივიდა და სადეზინფექციოდ გამზადებული სულემა გადმოიღო.

— შვილებმა არ წამიყვანეს!.. მე თვითონ, მე თვითონ გავემგზავრები მოუსავლეთში და შენ, წერავ, მასხარად არ აგაგდებინებ თავსა!..

უცბად მიხურული კარები ისევ გაიღო. მზემ შემოიჭყიტა. ოთახში ორმა მოზრდილმა ბავშვმა თავი შემოყო.

— პური გვშიანთ, გვაჭამეთ!—გაისმა მისუსტებული ხმა.—სოფლიდანა ვართ, დედ-მამა აღარა გვყავს. სოფელში შიმშილობაა და აქეთ წამოვედით.

ნინო შესდგა.

— რას ვსჩადივარ?—სთქვა გონს მოსულმა და კლავებზე დაიხედა.—ჯანი კიდევა მაქვს... შვილებს ჩვენის ხალხის სიყვარულს უნერგავდი, ხალხისთვის ვზრდიდი და მე კი აი თვითონ რასვსჩადივარ?—საწამლავს დახედა დ ისევ კარადაში შედგა.—არა, ჯერ დრო არ არის, მოვესწრობი სიკვდილს... წერავ, კიდევ შეგებრძოლები! ჩემი საკუთრები აღარა მყავანან, მაგრამ ამისთათა უპატრონოები ეხლა ხომ ბევრია? ხელი კარებში მდგარს ორ ბავშვისაკენ გაიშვირა—წავალ და მოუვლი. მერე კი, როცა ჯანი გამომელევა უსაწამლავოდაც კარგა მოვკვდები...

ინ-ბანი.

# „კახეთი“ კახეთში

I

კახეთის ცენტრად თანდათან ს. გურჯაანი ხდება და ახლო მომავალში შეიძლება ქალაქადაც გადაიქცეს, რადგან უდიდესი სადგური და გასაყარი რკინისა გზის სწორედ ამ მდიდარ სოფელში მოექცა; აქვე არის განთქმული ახტალაც, რომელსაც კახეთის რკინის გზასთან ერთად დიდი მომავალი მოელის. სოფელში მრავლად არის შეძლებული გლეხობა, რომელიც მისდევს როგორც მევენახეობას, ისე სხვა მეურნეობასაც და ვაჭრობასაც. აქვე არის „ბანკიც“, ანუ წვრილი კრედიტის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. თანდათან ხსენებული ამხანაგობა აფართოვებს როგორც სესხის ისე საშუამავლო ოპერაციებს და იმდენად მოკეთდა, რომ მოკლე დროის არსებობის მიუხედავად (მეოთხე წელიწადია) ყოველდღიური ოპერაციების წარმოება სჭირდება და გამგეობასაც საფასურით ინახავს. მართალია, ამას წინად რევიზიას ბევრი უწესოება და ბოროტმოქმედებაც კი აღმოუჩენია, მაგრამ მას შემდეგ გამგეობა შეიცვალა და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ რიგიანად და პატიოსნად წაიყვანენ სახალხო საქმეს.

გესიამოვნება, როდესაც შედიხარ კოპწია სახლში; სუფთად მოწყობილი, ნამდვილი ბანკის შეხედულებისა, თვისი კანტორებით, კასებით, რკინის შკაფებით და საქმის წარმოებით. აუარებელი ხალხის ტრიალი, ზოგი სესხისთვის, ზოგი ვალის გადასახდელად, ზოგი დაკვეთილის მისაღებად ან რისამე დასაკვეთად—სიცოცხლესა ჰბერავს თითქოს, ჩვენს ჩვეულებრივად დადუმებულ სოფელს. იანვრიდან ამხანაგობა გადადის ახალს უკეთესს შენობაში, საცა ექნება საკუთარი საწყობიც ფქვილისა, შაბიამანგოგირდისა და სხვა სოფელში სახმარ საგნებისა; ამასთანავე აპირობს მომხმარებელ დუქნის გახსნასაც.

ამხანაგობის ხელმძღვანელთ განზრახვა აქვთ შეაერთონ ღვინის მწარმოებლებიც და ამ მხრივ ენერგიული დახმარება აღმოუჩინეს მაგ. „კახეთის“ საზოგადოების წარმომადგენელს, რომელიც სცდილობდა ამავე განზრახვით შეერთებას მწარმოებლებისას გამსაღებელ კოოპერატივში, რომელსაც წარმოადგენს საზ. „კახეთი“. ამას წინადაც ვწერდით, რომ „კახეთის“ საზოგადოების ხელმძღვანელთ აზრადა აქვთ დაუკავშირდნენ „კახეთის საკრედიტო კავშირს“, რომლის საშუალებით შეეძლება განახორციელოს პირვანდელი დედა აზრი, ჩადებული მის წესდებაში: გაერთიანება მთელი კახეთის წარმოება-გასაღებისა მევენახეობის დარგში. დღეს ეს აზრი თითქმის ხორცს ისხავს და პირველი ქვა საძირკვლისა ჩაიყარა გურჯაანში. კონკრეტულად ჯერჯერობით ეს დაახლოვება გამოისახა იმაში, რომ საკრედიტო ამხანაგობის წევრთ, რომელთაც ჯერ არ გაეყიდნათ ღვინო, ჩააბარეს თვისი ნაწარმოები „კახეთის“ საზოგადოებას და ფულის გასწორება, წამლეულობის მიღება და სხვა დამოკიდებულება ექნებათ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის საშუალებით „კახეთის“ გამგეობასთან. ეს არ არის რასაკვირველია სრული ფორმა კოოპერაციისა, მაგრამ ახლო მომავალში, იმედი უნდა ვიქონიოთ ამასაც მიაღწევენ თუ თანაგრძნობით და პატიოსნად მოექცევიან ერთმანეთს ეს ორი დაწესებულება. როგორც ვიცით, კარდანახის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასაც აქვს განზრახვა ამავე აზრით ხელმძღვანელობს და მის განხორციელებას მით უფრო ადვილად შესძლებს, რომ „კახეთის“ საზოგადოებას ს. კარდანახში უფრო მეტი წევრები ჰყავს, რომელნიც იმავე დროს წვრილი კრედიტის ამხანაგებიც არიან. ამაზედ შემდეგ.

რაე.

გურჯაანი, 21 ოქტ.

# ქუთაისის ქრონიკა

ქუთაისის გუბერნის სამმართველოს საქმეთა განყოფილებ სთხოვს ქალაქის სამმართველოს, დასცენ ქალაქის საბჭოს განსახილველი საკითხი, რათა ქალაქიდან დაენიშნო პენსია საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს ექ. სეგალს, ყოფილს ქუთაისის ქალაქის ექიმს.

— 26 ოქტომბრისთვის დანიშნული სხდომა ქალაქის საბჭო მორიგ კრებისა სხვა დროისათვის დაიდო.

— ქალაქის სამმართველომ მიიღო ქუთაისის სასამართლ ბრალმდებელისაგან ასლი ანდერძისა, რომელიც დაუტოვებია ქუთაისის მოჩენილ მდიდარ აწ გარდაცვალულ გ. ბ. კოსტავას. სხვათა შორის ა უანდერძებია: ქ. შ. წერა-კითხვ გამავრცელებელ საზოგადოებას—100 მან., ქუთაისის ქალაქის სააავადმყოფოს 500 მ., ქუთაისის მთავარ-ანგელზის, მწვანე ყვავილის და საფიჩხიის ეკლესიებს—თითოს ას-ასი მანეთი, 300 მანეთი სამი წლის განმავლობაში ეცეს ღარიბ მოსწავლე ქალიშვილს კენჭის ყრით. დანარჩენი ქონებ როგორც უძრავი აგრეთვე მოძრა უანდერძა თავის ახლო ნათესავებს.

— ქალაქის საბჭოს ახა მომავალ კრებაზე განსახილველად წარდგენილი აქვს ქალაქის სამმართველოსაგან, რათა ქუთაისში გახსნან ქალაქის საზოგადო ბანკი.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ახალი ნიხრი გამოაკრა. მიუხედავად ამისა ჩარჩები მაინც თავისთს განაგრძობენ. ნავთის კრიზისი ლა უკვე დასრულდა, ქუთაისს ჩამოიდა რამოდენიმე ქვაბი. რაც შეეხ ღვინოს, მისი ფასი დღითი დღე ტულობს. ამ ჟამად ფუთი ყურძენი მანეთი ფასობს.

— ერთი კვირის წინად ამხედრო საკრებულოს, ქუჩებზე გაა ორი ცალი ძველი განცხადება, რომელიც მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გაწვევას ეხებოდა. ამ გარემოებამ ძლიერ შეაშფოთა ხალხი, მით უმეტეს, რომ ეს განცხადება ადგილობრივ გაზეთებშიაც მოუთავსებიათ. ხალხის შეკითხვაზე თვით საკრებულომ უარჰყო ეს ყალბი ცნობა, განცხადება შეცდომით იყოო.

— 25 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით დ. ახალსენაკში გაემგზავრა გუბერნიის აგრონომი კ. დ. დანილევსკი, რომელსაც სენაკის მაზრის მცხოვრებლებთან მოლაპარაკება ექნება მომავალი წლისათვის სათესლე სიმინდის შეძენის შესახებ. როგორც გავიგეთ თესლს მთავრობა გლეხებს სესხის სახით აძლევს.

# პროვინციის ქრონიკა

**სოფ. ხეთა** (ზუგ. მაზრა).

სოფელი ხეთა საუკეთესო კუთხედ ითვლება ზუგდიდის მაზრაში. ეს სოფელი ცნობილია, როგორც საუკეთესო ბუდე დაფნის მოსავლისა. დაფნა დიდს სარგებლობას აძლევს ამ სოფელს.

სხვა მოსავალის მხრითაც ეს სოფელი ნაქები იყო, მაგრამ შარშან და წელს მოსავალმა ძლიერ იკლო რამაც დიდს საგონებელში ჩააგდო ხალხი.

დაიწყო ოქტომბერი თუ არა ახალ სიმინდს მიჰყვეს ხელი, ასე რომ მომავალ წლისთვის ხალხს სიმინდი არ ექნება.

ამ ბოლო ხანებში ხეთაში ძლიერ გახშირდა ქურდობა, ძარცვა-გლეჯა და დუქნების დაწვა.

ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს.

**ბანძა** (სენაკ. მაზრა).

ამ სოფელში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სამსაჯულო და კვირაობითი ბაზარი. ყველა ამის დაარსებაში აქ მონაწილეობას იღებდა ლეხაინდრავო-ონოღის და ბანძის საზოგადოება. ლეხაინდრავო-ონოღის საზ. მცხოვრებნი დაშორებულია სოფ. ბანძიდან 7—8 ვერსის მანძილზე და შესდგება 1400 კომლისაგან.

წელს აღიძრა კითხვა, რათა აქ დაეარსებინათ უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლა. ეს სასწავლებელი უნდა დაარსდეს ბანძის რაიონში. ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმა გაიმართა. ბანძლებს უნდათ სკოლა ბანძაში იქნეს, ხოლო ლეხაინდრელებს უნდათ ბანძის და ლეხაინდრაოს შუა ადგილას. ამ პირობაზე ბანძლებმა უარი განაცხადეს.

**სოფ. ბია** (ზუგ. მაზრა).

სოფ. ბიაში მცხოვრებთა რიცხვი 200-სზე მეტია. სოფელი გაშენებულია გორაკ ადგილებზე, სახნავ-სათესად აქვთ მდ. ხობის წყლის პირად გაშლილი ნაყოფიერი მიწები. წელს ამ სოფელს დიდი უბედურება დაატყდა თავს. გამუდმებულ წვიმების გამო ადიდებულმა მდინარემ სრულებით წალეკა გლეხის სარჩო-საბადებელი. ვერც მაღლობ ადგილებზე ყანებს მოუტანია სასურველი მოსავალი, ასე რომ ამ სოფელს თუ რაიმე დახმარება არ აღმოუჩნდა აუცილებლად დამშევა მოელის.

# რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი

წერილი IX

სწორედ იმ დროს, როცა ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ ოფიციალ საეპარქიო კრებაზედ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა 1907 წლის დასაწყისში (17 იანვ.—7 თებერვ. №254) შემოღებული საარჩევნო უფლება და დაბეჯითებით მოითხოვა მისი ძირითადი შეცვლა ან სრულიად გაუქმება *),—1908 წლის დეკემბერს მოხდა ორმოცდამეცხრე მორიგი კრება იმერეთის სამღვდელოებისა. ამ უკანასკნელმა ამერეთის სამღვდელოებაზე ორი დღით ადრე, 13 დეკემბერს, შესაფერისი სახელი უწოდა ბედკრულ არჩევნებს და იგივე დაასკვნა, რაც მის აღმოსავლეთელ მეზობლებმა 15 დეკემბერს სთქვეს: არსებული წეს-რიგი სამღვდელო პირთა არჩევისა ივერიის ეკლესიის დამამცირებელი, გამათახსირებელი და დამღუპველიაო.

ორივე კრების დაწერილებითი ოქმები წარედგინა მაშინდელ ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელს, ბაქოს ეპისკოპოს გრიგოლს, რომელიც დიდი „თანაგრძნობით“ შეეგება საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. რა იყო ნამდვილი მიზეზი ამ თანაგრძნობისა,—ის გრძნობა, რომლის შესახებ ნათქვამია: ჩიტს გაფრენა უნდოდა, აქშევას ელოდებოდაო, თუ სხვა რამე მოსაზრება,—ეს სულ ერთი იყო, ოღონდ რაც შეიძლებოდა ჩქარა მოესპობილიყო ცხადი ბოროტება, იმ დროინდელი წესრიგი არჩევნებისა. გრიგოლ ეპისკოპოსმა იშვიათი სისწრაფით, რომელიც ცხად ჰყოფდა მის პირად, როგორც მღვდელმთავრის და ადმინისტრატორის სიძულვილს მრევლის საარჩევნო უფლებისადმი, 1909 წლის 18 თებერვალს 605 ნომრით მოხსენება აფრინა უწ. სინოდში, სრულიად სამართლიანია ამერ-იმერეთის სამღვდელოების შუამდგომლობა და მეც ჩემი მხრით გთხოვთ გააუქმოთ საარჩევნო უფლებაო.

უწ. სინოდი სდუმდა, როგორც სარწმუნო წყაროდან ვიცით, ძლიერ აღელვებდა ეპისკოპოს გრიგოლის. ეგონა, არაფრად მაგდებენო, მაგრამ ნამდვილად კი ეს დუმილი აიხსნებოდა იმ სულთა განწყობილებით, რომელიც უმაღლეს სასულიერო წრეებში გამოიწვია ერთი ჯგუფის პროექტმა, რომ საქართველოში სრულიად გაეუქმებინა ექსარხოსის თანამდებობა და დაეწესებინათ ჩვეულებრივი საარქიეპისკოპოსო, რითაც სამუდამოდ უნდა გამქრალიყო უკანასკნელი ნაშთი ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობისა.

30 სექტემბერს 1909 წელს ეპისკოპოს გრიგოლიმ განიმეორა თავისი შუამდგომლობა და თან წარადგინა 26 ოქმი გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიების სამღვდელო ოლქებისა, რომელშიაც „სამღვდელოება ერთი ხმით თხოულობდა საარჩევნო უფლების გაუქმებას“.**) უწ. სინოდი კი არ ჩქარობდა. მან 1909 წლ. 10 ოქტომბერს მხოლოდ გაკვრით განიხილა ყოვლად სამღვდელო გრიგოლის შუამდგომლობანი და დაადგინა საკითხის არსებითი განხილვა გადადებულიყო ახალ ექსარხოსის დანიშვნამდის.

ახალი ექსარხოსი, არქიეპისკოპოსი ინოკენტი თბილისს ჩამოვიდა 1910 წ. 25 იანვარს. პირველ ხანებში დიდი და წარმტაცი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველი სიტყვა განსვენებულისა, სიონის ტაძარში წარმოთქმული, თავისუფლებას, სიყვარულს, სამართლიანობას, ეროვნებათა თანასწორობას—მთელ სამოთხეს პირდებოდა ტანჯულ ივერიის ეკლესიას. თითქოს გვევაბრუა, სიამით დაგვათრო უჩვეულო სიტყვებმა, საზღაპრო წალკოტში გადაგვტყორცნა. გაზეთი „კავკაზი“***) როგორც თითქმის სასწაულს მოგვითხრობდა, რომ „როცა მისი მაღალი ყოვლად უსამღვდელოესობა მშვიდობიანობის და ურთიერთ სიყვარულის იდეას შეეხო, სიონის ფანჯრებში მზის სხივებმა შემოაშუქა და ცის კამარა, უკანასკნელ დღეებში შავბნელ ღრუბლებით შემოსილი, უცებ გადიწმინდა“.

ეს არ იყო მოგონილი. ეს უმრავლესობის სულის განწყობილება, სურვილების ცხადი სიზმარი, ჩაგრულთა თვით-შთაგონება იყო. ქართველი კაცი გულღია და ადვილად მიმნდობია. ოპტიმისტობა ჩვენი სტიქიაა. მკითხავისაც კი გვჯერა და აბა რა წარმოსადგენია, რომ ჩვენი თვალით ნახულს, საკუთარ ყურით გაგონილს არ დავუჯეროთ!.. გვწამდა და გვიხაროდა; გვინდოდა, რომ ყველას ერწმუნა და გაეხარა.

როცა დრომ განვლო და სულიერ პოეზიამ ცხოვრების პროზას დაუთმო ადგილი, ამ სტრიქონების დამწერი პირად მრავალჯერ გაუწითლებიათ მეგობრებს იმ აღტაცებისათვის, რომელთაც მან ცალკე წერილი მიუძღვნა ინოკენტის პირველ სიტყვას****).

«Прояснились мрачныя отъ пережитыхъ гоненій и испытаній, пронизанныя преждевременными складками вѣкового гнета чела иверскаго духовенства. Сѣрыя стѣны маститаго свидѣтеля судебъ Иверіи—стѣны Сіонскаго собора, казалось, слезились отъ умиленія»—ასე ვახასიათებდი განსვენებულის პირველ სიტყვის შთაბეჭდილებას,—და ეს იმ დროებით სრული ჭეშმარიტება იყო. მრავალნი ვიყავით მნახველნი, რომ ამ სიტყვის დროს, რომელიც მართლაც შესანიშნავი ტაქტით, აღფრთოვანებით, ნამდვილი პათოსით იყო წარმოთქმული, ბევრ მსმენელთაგანს, ჰარმონიით და ტკბილ იმედებით მოხიბლულს, სიამის ცრემლები სდიოდა თვალთაგან.

მაგრამ რა ვქნათ, რომ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა!..

სამი წელიწადი და შვიდი თვე იყო არქიეპისკოპოსი ინოკენტი საქართველოს ექსარხოსად (25 იანვ. 1910 წლ. —11 სექტ. 1913 წლ.) და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ

*) იხ. „საქართველო“ № 119.

**) «Вѣстникъ Экзархата» 1912 წ. № 1, გვ. 2.

***) «Кавказъ» 1910 წ. № 20.

****) «Новая Рѣчь» 1910 წ. № 23.

საარჩევნო უფლების გაუქმება იყო ერთად-ერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში უმთავრესი კეთილი საქმე განსვენებულისა. მაგრამ ეს საქმეც გვიან მოხდა. ინოკენტის ჩამოსვლის დღიდან თითქმის ორი წელიწადი კიდევ გასტანა საარჩევნო უფლებამ და მასთან შეერთებულმა ბნელ ძალების თარეშმა. საგულისხმოა, რომ სამღვდელოების შუამდგომლობანი და მოწინავე პრესა თხოულობდნენ საარჩევნო წესის მოსპობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ გადააკეთებდნენ და ნამდვილ საარჩევნო, ფართო დემოკრატიულ პრინციპზედ დამყარებულ უფლებას არ დაუახლოვებდნენ. რასაკვირველია, რეფორმა უფრო ადვილიც იყო და უფრო მიზანშეწყობილიც, ვიდრე სრულიად გაუქმება, მაგრამ რეფორმები აზრადაც არ მოსვლია მთავრობას. თითქოს გვეუბნებოდნენ: თუ გინდათ, სწორედ ასეთი იქონიეთ, თუ არა და სულაც ნუ გექნებათო... **ასეთი** უფლება კი დიდად საზარალო იყო როგორც ხალხისთვის, რომელიც იმ დროს არჩევნებში ფაქტიურად გარეშე მაყურებელი იყო, ისე მთავრობისთვისაც, რომელსაც ასე თუ ისე საზღვრავდა, უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თვით აჩრდილი სამღვდელო საარჩევნო უფლებისა. ცხადია, რომ უკანასკნელი გარემოება მთლად გაუქმებას ამჯობინებდა რეფორმებსა.

და განსვენებული ინოკენტიც ასე მოიქცა. მან 1911 წლის 22 ნოემბერს 602 ნომრით შუამდგომლობა აღძრა უწ. სინოდის წინაშე, დავრწმუნდი, რომ საარჩევნო უფლება მავნებელი მოვლენაა და ვითხოვ გააუქმოთ, რომ აღდგენილ იქმნას ძველი წეს-რიგი ადმინისტრატიულ გამწესებისაო. ეხლა კი დაუყონებლივ მოისმინეს ინოკენტის შუამდგომლობა და უწ. სინოდმა 1911 წლის 10 დეკემბერს 17025 ნომრის უკაზით გააუქმა ის საარჩევნო უფლება, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში იმდენი უბედურება მიაყენა ივერიის ეკლესიას, რამდენს შემოსეული მტერიც ვერ უზამდა.

ერთობ ინოკენტი მსხვილი ერთეული, საინტერესო პიროვნებაა ჩვენის ეკლესიის მატიანეში. სრული მისი დახასიათება მხოლოდ მომავალში შეიძლება. ხოლო რამდენად მაზე დღევანდელ პირობებში სჯა და წერა შესაძლოა, შემდეგ წერილში შევეხებით.

**ახელი.**

# სერბეთი მეორე ომამდე

მეორე ომის დაწყებამდე სერბეთი დამშვიდებული იყო. ბულგარეთისა დიდი იმედი ჰქონდა. ჯერ კიდევ აგვისტოს დამლევს სერბეთიდან ხმა მოვიდა, რომ ავსტრო-გერმანელები თავდასხმას აპირებენო. ამ ამბავს საზოგადოდ გულგრილად შეხვდნენ. თვით ნიშშიაც კი რუსეთის ელჩი თავ. გ. ნ. ტრუბეცკოი ირწმუნებოდა, რომ ყოველისფერი კარგად მიდის, შიში არასფრისა არ უნდა გვქონდესო, რომ ბულგარეთთან უკვე მოლაპარაკება გავათავეთ და ხელშეკრულობაზედ უნდა მოვაწეროთ ხელიო. როდესაც ბულგარეთმა მობილიზაცია გამოაცხადა, სერბებმა დაუყოვნებლივ ჯარები აფრინეს მათს საზღვრებზე. რაკილა ბულგარეთის განზრახვა აშკარად სჩანდა, სერბებმა გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ მათს ტერიტორიაზედ გადავიდეთ და ჩვენთვის ხელსაყრელი პოზიციები ეხლავე დავიჭიროთო. მაგრამ ოთხთა კავშირის წარმომადგენელთა ენერგიულმა რჩევამ უკუ აგდებინათ ეს გარდაწყვეტილება. მათ კიდევ რაღაცა თუ ვიღაცის იმედები ჰქონდათ. სერბები ცოტა წელში მაშინ გასწორდნენ, როდესაც მოკავშირეთაგან ცნობა მოვიდა, ჯარებს მოგაშველებთო. 24 ენკ. ნიშში პირველად მოვიდა ფრანგთა ჯარები, 40 ათას კაცამდე. ხალხი ენტუზიაზმით შეეგება მათ. საუბედუროთ სერბეთში მავი ჭირი მძვინვარებდა. უკანასკნელი 65 ათასი მცხოვრები გასწყდა, მათ შორის 115 ექიმი.

მიუხედავად ამისა სერბნი მტკიცე გარდაწყვეტილებას დაადგნენ ცოცხალი თავით არ დანებებულიყვნენ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლათ. გადასწყვიტეს, აღარასფერი არ დაეტოვებინათ გამარჯვებული მტრისათვის, საკუთარ ხელით წინდაწინვე გაენადგურებინათ ყოველისფერი, რის გამოყენებაც შეეძლო მტერს. ამასობაში მტერიც ემზადებოდა. უკვე ბულგარეთში დაიწყეს მოურიდებლად მტრულ ლექსების სიმღერა. განსაკუთრებით ბავშები ქუჩებს იკლებდნენ ყიჟინით: „მოკავშირენი ყაჩაღები არიან, მათ დაგვინგრიეს წმიდა ტაძარი“... კნიაჟევიცთან კიდევ სადაც ყრუ ჩურჩული გაისმოდა, ყოველ ღამ საიდუმლო მანევრები ხდებოდა. ყველა ეს მომასწავებელი იყო იმისი, რომ დღეს თუ ხვალე ამ საზღვარით საბედისწერო ზარბაზანს უნდა თავისი მოვალეობა შეესრულებინა და გრიალით ეუწყებინა ქვეყნისთვის ომის ახალი პერიოდის დაწყება.

უ. რ.

# ვისი ბრალია?

IV

ქართველი საზოგადოება ფატალისტური მორჩილებით შესცქეროდა, როდესაც მის სამშობლოს სისტემატიურად ეცლებოდა კუთხე კუთხეზე. ასეთია „ისტორიული აუცილებლობა“, რომელსაც ჩვენი ქვეყანაც იძულებულია დაექვემდებაროს! იმის მაგივრად, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოება გამოსულიყო თავგამოდებულ დამცველად ქართველი ერის სამკვიდრებელისა, მხოლოდ ნაღვლიანად ამოწმებდა მშობელი მიწის საზღვრების შეკვეცის პროცესს; ის არ ეწინააღმდეგებოდა გარეშე ძალებს, რომელსაც ლამობენ ქართველ ერის სამკვიდრებელის აყრას და დანგრევას.

რაღაცა მანქანების წყალობით იზიდებოდა ჩვენი სიმდიდრე: გლეხი რჩებოდა უმიწა-წყლოდ, იხიზნებოდა და მის ნაცვლად ქართველ წინაპართა სისხლით მორწყულ ტყე-ველში სახლდებოდა უცხო ელემენტი; ეკლესიებს და მონასტრებს სტაცებდნენ ძვირფას განძეულობას და ცხრა მთას იქით გაჰქონდათ; დაბა-სოფელს კალიასავით მოედო უცხო გვარ-ტომის ხალხი და მოიწადინა ქართველთა ძველის-ძველი საკუთრების დაჩემება.. ან კი, როგორ შეგვრჩა ამ დრომდის საკუთარი ეროვნული სახე: როგორ არ გავითქვიფენით სხვა ერთა შორის და არ აღვიგვენით პირისაგან ქვეყნისა?!

ქართველი ერის მარტიროლოგი ყველასათვის აშკარა იყო! ყველა ნათლად ხედავდა, რომ ქართველებს, ხელიდან ეცლებოდა თვისი საუნჯე და ამის წინააღმდეგ ხმა გაბედული არ აუმაღლებიათ იმათ, ვინც მესვეურობდა ქვეყანას და ქართული საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა.

დღევანდელმა ომმა ამ მხრივ ქართველ ხალხში დიდი ცვლილება შეიტანა. ეროვნული თავდაცვისა და ერის კულტურის საკუთრების დაცვა გადაიქცა ქართველის ეროვნული შეგნების უმთავრეს პრობლემად. და თუ სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება მახლობელ წარსულში ვერ გამოვიდა, ვერ იჩინა თავი, ვითარცა ივერიის კუთვნილებისა ღირსეულ დამცველად, დღეს იგი დაკარგულის ანაზღაურებისაკენ მიილტვის. თუ ძველ მოღვაწეთ საკმარისად ვერ გაეგოთ მთელი უბედურება იმ გარემოებისა რომ საქართველოს ჩამოაცალეს და დღესაც აცლიან განაპირა კუთხეებს, დღეს, ქართველის შეგნებაში ამომწვარია მთელი საშინელება ამ მოვლენისა და შველის ღონისძიებას დაეძებს. და შეგნებული საზოგადოების კოლექტიური ენერგია ამ ხსნა-ძიებისაკენ მოიმართება. იგი ცდილობს დაიბრუნოს და ქართულ-ეროვნულად აღადგინოს საქართველოს განაპირა პროვინციებში, რომელიც აქამდე ღონიდა და ანადგურებდა დენაციონალიზაციის შეუჩერებლივ პროცესს. ასეთი პროცესი მუშაობდა მშვენიერი ალაზნის გაღმა მხარეს. სიუხვით და სიმდიდრით აღსავსეს, ძველად საქართველოს ჭირისა და ლხინის ერთგული, — საინგილოში. დღეს იგი ხელიდან გვეცლება. იქ ჰქრება ქართველობის ლამპარი! უმწეოდ დატოვებული მკვიდრნი ვეღარ უძლებენ უცხო ელემენტთა შემოსევას, ითქვიფებიან იმათში, ივიწყებენ ქართულ ენას, თვის ვინაობას და ჩამომავლობას! დღემდის არავითარი ზომა არ მიუღია შეგნებულ ქართველობას საინგილოს გადასარჩენად. ძნელად თუ სადმე გაზეთის უკანასკნელ ფურცელზე ამოიკითხავდით შემთხვევით მოწერილ ამბავს საინგილოდან, თორემ ამ მხარის შესწავლით თავი არავის შეუწუხებია. ქართველი ხალხი ვერ გრძნობდა, რომ მის გვერდით, სულ ახლო სცხოვრობენ მათი ძმანი ერთსულ და ერთხორც ინგილოები და რომ მათ შველა უნდათ.

წერა-კითხვის საზოგადოებას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ბლომად მოეპოვება სკოლები, რომელთაც ფრიად დიდი სარგებლობა მოაქვთ ქართველობის იდეის განმტკიცება-განვითარების საქმეში. გამონაკლს წარმოადგენს საინგილო და ეს არის მიუტევებელი ცოდვა ჩვენი მოწინავე კულტურულ დაწესებულებისა. ის დღე, როდესაც საინგილოს რომელიმე სოფელში გაიხსნება ქართული ეროვნული სკოლა, ჭეშმარიტად ჩაითვლება შესანიშნავ აქტად ქართველთა ცხოვრებაში. ეს იქნება დასაწყისი საინგილოს აყვავებისა და აღორძინებისა. დავაჩქაროთ ეს დღე!

რ. ინგილო.

# „მაზანდის“ სცენები.

დღევანდელი სიძვირე ბევრს აკვირვებს. ვერ გაუგიათ ჭეშმარიტი ღრმა ეკონომიური მიზეზები სიძვირისა და დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბრალსა სდებენ საწყალ გერმანეთს. აი, მაგ. შედის მუშტარი დუქანში და ევაჭრება ბრინჯს, ნავთს თუ სხვა რამეს.

— კაცო, რას ამბობ, ბრინჯი გირვანქა თვრამეტი კაპეიკი, ნავთი გირვანქა ორი შაური?! ეს ოხერი ესეც ხომ გერმანეთიდან არ მოდის?!

— რა ვქნათ, ძმაო, დროება ასეთია, ეუბნება მედუქნე, ჩვენც ძვირად ვყიდულობთ.

— რა ღირს გირვანქა შაქარი?

— ექვსი შაური.

— რათა ჰყიდით ასე ძვირად, შაქარს ხომ რუსეთში ამზადებენ?

— განა ჩვენ კი გვინდა, ბატონო, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ყველაფრის სიძვირეა, შაქარიც დაძვირდა, აღარ მოგვდის.

ხალხი მართლა ჩივის: არ უნდა იყოს ჩვენში ერთი ორად, სამად და მეტადაც ძვირი შაქარი, ფქვილი, ჩითეულობა და სხვა საქონელი, რომელიც რუსეთში ბლომად მოდის ან მზადდება. პირიქით, უფრო იაფიც უნდა იყოს ჩვეულებრივზე, ვაჭრობის კანონის ძალით, რადგან სამზღვარ-გარედ აღარ გააქვთ და ყველა ეს შინაურ ბაზარზე რჩება გასასყიდად. სათვალავში არ ვთვლი შინაურ მოუწყობლობასა და მიზეზებს, რომელიც იწვევს ამ სიძვირეს. მაგ. გზის უქონლობა. ამ ომის გამო მატარებლებს აღარ სცალიანთ ჩვეულებრივ საქონელი წესიერად ზიდონ.

მუშა ხელის ნაკლებობა, (სიძვირე,) და გაძვირება.

სახელმწიფოს მოუწყობელი ორგანიზაციები და კავშირების უქონლობა ვაჭრობის საქმეში.

ფულის გაიაფება. ომის დროს ქაღალდის ფულს ბევრს უშვებენ, თუმც გარეგნობით ფული არ დაცემულა, მაგრამ ერთი სამად გაძვირება ყველაფრისა კი ამ უკანასკნელსა ჰგულისხმობს.

ვაჭრების სპეკულიაცია. ომით სარგებლობენ ვაჭრები და განგებ სწევენ ფასს, რა არის მეტი მოგება დარჩეთ.

ხალხი ამას ვერ ამჩნევს. მაგრამ საზოგადო გაძვირებამ გაჭირვებულნი სოფლელნიც გამოაფხიზლა და დღეს ისინიც თავიანთ ჭირნახულს თუ ნაწარმოებს სამართლიანად დროის შესაფერ ფასად ჰყიდიან. ისინი ხელმძღვანელობენ ბრძნული ქართული ანდაზით: „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“. ამ მაზანდის გარშემო ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით ისეთს სცენებს, მაგ. იარმუკაზე—პროვინციის ქალაქში—პროვიზორი ევაჭრება სოფლელ დედაკაცს მაწონს:

— რას ამბობ, დედი, ერთი ნამცეცა ქილა და ექვსი შაური, ღმერთი აღარაა?! წინად ასეთ ქილას ორშაურად ვყიდულობდი.

— მართალია, შვილო, წინად შენც ერთ ჩაყლაპა ქინაქინას სამ კაპეიკად მაძლევდი, ეხლა კი ორ შაურად მაყიდებ.

— რა მოგცე, ჩემო დაო, წყვილ ჩურჩხელაში?

— ორი აბაზი, ნაკლებ არ იქნება!

— რათა, წინად ასეთ წყვილ ჩურჩხელას სამ შაურად ჰყიდდი?!

— წინად, ჩემო ძმაო, შენც ერთ კოლოფ „პრიმას“ კაპეიკად მაძლევდი, ეხლა კი ექვს გროშ ნაკლებ არა ჰყიდი?!

სოფლებს სირაჯები ეწვევიან.

— ვანოჯან! ღვინოს გაჰყიდი?

— გავყიდი.

— შეიძლება ვნახო?

— ინებე.

— როგორ საპალნე (32 ჩაფი ანუ 48 ვედრა)?

— სწორედ ოცდა თორმეტი თუმანი, კაპეიკი არ მოაკლდება!

— კაცო, ეს ძალზე მჟავე ღვინო, პირში არ ჩაიშვება და ასეთი ფასი! შარშან შენგან ექვს თუმნად ვიყიდე და წელს რა ჰნახეთ, ვა?!

— ის დრო წავიდა, უპასუხებს გლეხი, რატომ იმას კი აღარ ამბობ, შარშან შაბიამანი ფუთი რვა მანეთი იყო, წელს კი ოთხი თუმანი?!

— ჰა, მოგცე ოცდა რვა?

— სწორედ ოცდა თორმეტი!

— კარგი, აჰა ოცდა ცხრა, ათი...

გლეხს თავისი გაჰყავს, ჰყიდის ღვინოს ოცდა თორმეტში.

— მიხაკჯან! ტკბილი ღვინო დაგდგომია წელს, ეუბნება სხვა სირაჯი მეორე გლეხს, აბა სწორე ფასი მითხარ?

— საპალნე სწორედ ორმოცი თუმანი ეღირება.

— კაცო, ვა, ჭკვაზე მოდი, რას ამბობ, ორმოცი თუმანი, ორმოცი?! მართლა რა გახდა, ე ღვინო, აქაური ვაზი არ ისხამს, მადლობა ღმერთს, გერმანეთიდან ხომ არ მოგდით?!

— საქულ, თქვენ მარტო ღვინის ფასი რათ გაკვირვებთ. ცოლ-შვილს გეფიცებით ორ-შაურიან ჩითში ორი აბაზი გამომართვეს. ფუთი ფქვილი წინად ოთხი აბაზი იყო, ეხლა თექვსმეტ აბაზათ გვაყიდებენ უხეირო მწარე ფქვილს და ისიც შოვნა არ არის. ცარიელი ბოთლი რა არის, ცარიელი, რომელიც წინად შაური, გაჭირდა, ორი შაური ღირდა, ჩემმა მზემ, იმ დღეს მთელი ორი სოფლის დუქნები შემოვირბინე და არსად თითო ცალი ორ აბაზ ნაკლებ არ მომყიდეს. ნუ თუ, საქულ, ჩითეულობა, ფქვილი და ბოთლი ყველა ეს გერმანეთიდან მოსდით, რომ ასე აძვირებენ?! ყველაფრის უწინდებური სიიაფე რომ იყოს ვინ თავმკვდარი ღვინოსაც შეღავათიან ფასში არ გაჰყიდდა?!

— ვიცი, ვიცი, ძმაოჯან, გატიალდეს ეხლანდელი დრო. კარგი, სწორე ფასი მითხარი, მოგცე ოცდა-ცამეტი?

— ტყუილად თავს ნუ იწუხებ.

— ჰა, ესეც ოცდა-თორმეტი...თხუთმეტი...

— გლეხი მაგრა სდგას თავის სიტყვაზე.

ბოლოს როგორც არის სირაჯი ყიდულობს მისგან ღვინოს საპალნეს ოცდა-ჩვიდმეტ თუმნად,...

ეფ. სართანიძე.

# წერილი სამეგრელოდან

**ორი ახალი ამხანაგობა სამეგრელოში**

ზუგდიდის მაზრის 20 საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ამ თვის 1-ლიდან მიემატა კიდევ 2: რიყე-ჭკადუაშის და კორცხელის საკრედიტო ამხანაგობანი, თითო ორ-ორ ათას მანათის ძირითად თანხით.

საზოგადოდ ხალხი თანდათან იგებს ამხანაგობათა დაარსების მნიშვნელობას და ხალისით შედის მასში.—არის ცდა, ამხანაგობათა კავშირის შექმნისა, რასაც ხელმძღვანელობს ზუგდიდის ამხანაგობის გამგეობა. მხოლოდ, სამწუხაროდ, სოფლის ზოგიერთ ამხანაგობის გამგენი, თავის დაუდევრობით, თუ შეუგნებლობით გულგრილად და ალმაცერად უყურებენ საქმეს და არ ესწრებიან საერთო კრებებს, რომელთა მიზანია კავშირის შექმნა და აგრეთვე საერთო მოქმედების გეგმის შემუშავება. საჭიროა მეტი სიმხნე, ენერგია და შეგნებული მოქმედება, რომ ამ ამხანაგობების დაარსებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს.

კაი.

# დეპეშები

**პარიჟი**, 29 ოქტ. სერბეთიდან იუწყებიან, მტერი მორავის დასავლეთით გადადის კრალიევოს მახლობლად და მორავის სამხრეთით ჯუნისისა და ლესკოვაცის მიმართულებით. გრდელიცთან და კოჩანიკის ღელესთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**სტოკჰოლმი**, 29 ოქტ. საბერძნეთის პალატა დათხოვნილია. ახალი არჩევნები დანიშნულია 23 ნოემბრისთვის.

**რომი**, 29 ოქტ. ჯიულიკარიასთან მტრის არტილერიამ ცეცხლი გაგვიჩინა, მაგრამ ჩვენ მალე ჩავაჩუმეთ. კორდევილეს ზემო ნაწილში ჩვენს ჯარებს იერიშები მიაქვთ სიენისა და სეტას შუა. იზონტოს ფრონტზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ფლაკთანაც მოვიგერეთ მტრის იერიშები. არტილერიის მოქმედება ჯერ არ შეწყვეტილა. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს სონდაცესთან და ნაბრეზინის სადგურთან, აგრეთვე კარსოს ზოგიერთ სადგურებთან.

**პარიჟი**, 28 ოქტ. ბელგიაში ჩვენი არტილერია სისტემატიურად ესროდა მტრის სიმაგრეებს. ვამოწმობთ, რომ მიზანში მარჯვედ ვარტყამდით. შამპანში ძლიერი სროლის შემდეგ მტერი ორჯელ შეეცადა იერიშით წამოსულიყო ტაგიურის გორაკებზე. პირველი შევაჩერეთ, ხოლო მეორემ მოახერხა ჩვენს თხრილებში შემოჭრა, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ უკუ ვაგდეთ. მასისა და მოზილის შუა ჩვენი ბატარეები ენერგიულად უპასუხებდნენ მტრის არტილერიის ცეცხლს. მტრის მწკრივად წამოსული მოიერიშე ჯარისკაცები გავფანტეთ.

**ჰამრი**, 28 ოქტ. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დღისით ცოტაოდენად ამოქმედდა მტრის არტილერია.

**ლონდონი**, 28 ოქტ. 25 ოქტომბერს ჩვენმა ჰაეროპლანებმა, ვგონებ, მარჯვედ ჩამოჰყარეს ყუმბარები გერმანელთა ბარაკებში. იმავე დღეს გერმანთა ერთი მფრინავი ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 7 ათას ფუტის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ჩვენის მხრითაც ერთი ჰაეროპლანი დავკარგეთ დუეს მახლობლად ბრძოლის დროს. საზოგადოდ ჩვენს მხარეზე არა ჩვეულებრივი უმოქმედობა იყო.

**ლონდონი**, 28 ოქტომბ. სატრანსპორტო გემს „მერსლანს“ გერმანელთა წყალქვეშამ სროლა აუტეხა ხმელთა შუა ზღვაში, მაგრამ აღარ დაუღუპნია და მშვიდობიანად მოვიდა ნავთსადგურამდე. გემზე 23 კაცია მკვდარი კომანდიდან, 50 დაჭრილი, ამის გარდა 30 კაცამდე აკლია.

**რომი**, 28 ოქტომბ. „ჯიორნალე-იტალია“ იუწყება, რომ კვირა დილით გერმანთა წყალქვეშამ დაჰღუპა ფრანგთა გემიო. ეკიპაჟი გადარჩა და გადასხეს კალიარაში.

**ბეთლემი**, 28 ოქტ. დაიწვა ერთი უდიდესი ქარხანა, სადაც სამხედრო მასალა მზადდებოდა. ზარალი მილიონ დოლლარს აღემატება. ამბობენ, განზრახ ცეცხლი წაუკიდესო. 800 მუშა ძლივ-ძლივობით გადურჩა ცეცხლს.

**პარიჟი**, 29 ოქტომბ. სერბეთის მისია აცხადებს, რომ კრალიევოში გერმანელთ დავლად გაფუჭებული ზარბაზნები დავუტოვეთ, მათ ველარასფერში გამოიყენებენო. მეფის მთავრობა ზავზე სულაც არ ჰფიქრობს. ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ვიდრე მოკავშირენი არ გაიმარჯვებენო.

**ლონდონი**. 29 ოქტომ. თემთა პალატა. ასკვიტმა ახალ სესხის აღების შესახებ (400 მილიონი სტერლინგისა) განაცხადა, რომ ომიდან დაწყებული დღემდე სულ 1,662 მილიონი გირვანქა სტერლინგის სესხი დაგვჭირდაო. ყოველ დღიური გასავალი უკანასკნელ ხანში დაახლოვებით უდრის 4,350,000 გირვანქას, მაშინ როდესაც წინად 2,700,000 გირვანქა უჯდებოდათ. ეს ახალი სესხი ვარაუდით სამყოფია თებერვლამდინაო.

**თეირანი**, 28 ოქტ. თეირანში პანიკა იწყება. მტრები რაღასაც ამზადებენ. ქუჩებში ავსტრიელთა შეიარაღებული რაზმელები დადიან. მღელვარება უფრო იმან გამოიწვია, რომ შაჰის პასუხმა არ დააკმაყოფილა რუსეთის ელჩი. შაჰის პირობანი უკვე პეტროგრადში გამოგზავნილ იქმნა განსახილველად.

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთი უნდა ეგზავნოს შემდეგ ადრესით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დაიწერება ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საავ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორისკენ მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორში მიდის . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის . . | 10 ს. 46 წ. |
| თბილისში ჩამოდის 5 საათზე. | |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# განათლება

[illegible]

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჭველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახლ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
[illegible]



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.